შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მშობლების უფლება - მოვალეობანი შვილების აღზრდაში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **თამარ ასლანიშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი რომან შენგელია

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია---------- 3

Annotation---------- 5

შესავალი---------- 6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------9

თავი II. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობათა განვითარების ეტაპები ----------16

2.1 შვილებისა და მშობლების ურთიერთობების ისტორიული საფუძვლები ----------16

2.2. შვილებისა და მშობლების ურთიერთობების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები -18

თავი III. მშობლების უფლება - მოვალეობების შინაარსი ----------25

3.1. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლები -----25

3.2. მშობლების უფლება - მოვალეობათა შეზღუდვა, შეჩერაბა ან შეწყვეტა ----------26

3.3 მშობლის პირადი უფლება - მოვალეობანი ----------28

3.3.1 ბავშვის აღზრდის საკითხები მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ----------31

თავი IV. ოჯახური აღზრდის ალტერნატიული საშუალებები ----------37

4.1 არასრულწლოვანთა სოციალური პრობლემები და მათი აღზრდის ალტერნატიული საშუალებები ----------37

4.2 მინდობით აღზრდის დროს უფლება - მოვალეობანი ----------41

4.3 შვილად აყვანის სამართლებრივი საფუძვლები ----------44

თავი V. მშობლებისა და შვილების ქონებრივი უფლება - მოვალეობები ----------51

5.1. მშობლების საალიმენტო ვალდებულება შვილების მიმართ----------51

5.2. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულება ---------- 54

5.3. ალიმენტის გადახდის წესი ---------- 56

თავი VI. კვლევის შედეგები ---------- 59

დასკვნა ---------- 61

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 65

დანართი ---------- 68

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მშობლების უფლება - მოვალეობებანი შვილის აღზრდის პროცესში და მასთან დაკაშირებული საკითხები როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, განხილულია როგორც ეროვნული, ასევე ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ადამიანის უფლებების შესახებ ყველა საერთაშორისო აქტის მონაწილე სახელმწიფოა, შესაბამისად კონსტიტუციაშიც მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვისკენ არის მიმართული. ბავშვიც თანამედროვე მსოფლიოში განიხილება როგორც განსაკუთრებულ უფლებათა დაცვის სუბიექტად, რაც თავის მხრივ მოითხოვს მშობლის უფლებებსა და ვალდებულებებს ბავშვის მიმართ მზრუნველობის საკითხში. მშობლების მხრიდან უფლება-მოვალეობებს არასრულფასოვნად შესრულებისას, ბავშვები დგებიან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორებიცაა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური.

არასრულწლოვნების აღზრდა, მათზე ზრუნვა და მინიმალური ყოფითი პირობების შექმნა, სახელმწიფოს მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. მართალია, ბავშვების ფიზიკური და გონებრივი განვითარება მშობლების უფლება-მოვალეობაა, მაგრამ მხოლოდ მათ არ ეკუთვნით, იგი სახელმწიფოსა და საზოგადოების უფლება-მოვალეობაც არის. მას შემდეგ რაც მშობლებმა პასუხისმგებლობების არიდება დაიწყეს, სახელმწიფომ მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი შექმნა, რომელსაც ბოლო დროს განსაკუთრებული ადგილი უკავია სამართალში. მეურვეობასა და მზრუნველობა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვას ისეთი მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც სპეციალური სამართლებრივი მხარდაჭერა სჭირდებათ. მაგალითად, მრავალი ბავშვია სოციალურად ობოლი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ესაჭიროება.

პრაქტიკას თუ გადაავლებთ თვალს იშვიათად შეხვდებით ისეთ ფაქტს, როდესაც მშობლების თანაცხოვრებისას შვილების აღზრდასთან დაკავშირებული ისეთი დავები იყოს, რომელთა გადაწყვეტა სასამართლოში ხდება, ძირითადად მსგავსი დავები წარმოიშობა მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებისას. შესაბამისად შემდგომში უფრო აქტუალურია აღზრდასთან და საალიმენტო ვალდებულებებთან დაკავშირებული პრობლემები.

აქედან გამომდინარე, სწორედ ისეთ საკითხებს შევეხებით ქვემოთ მოცემულ თავებში, რომლებიც ბავშვის აღზრდის პროცესში მშობლების უფლება-მოვალეობების არსისა და მათი მნიშვნელობის გააზრებას გულისხმობს.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

This paper discusses the rights and responsibilities of parents in the process of raising a child and related issues in accordance with both national and international law. Therefore, the legislation and practice of both national and European countries and discussed.

Due to the fact the Georgia is a party of all international human rights instruments, the Constitution also contains such important international standards, which ar aimed at ensuring and protecting human rights. The child is also considered in the modern world as a subject of special rights, which in turn requires the rights and obligations of the parent to care for the child. When children do not fulfill their rights and responsibilities, children face social, cultural and economic problems.

Raising minors, caring for them and creating minimum living conditions is the main function of the state. It is true that the physical and mental development of children is the duty of parents, but it does not belong only to them. It is also right and duty of the state and society. After the parents started avoiding responsibilitu, the state created the institution of guardianship and custody. Which has recently taken a special place in law. Guardianship and custody implies the care of the state for those citizens who need special legal support. For example, many children are socially orphans who need maximum support from the state.

If you look at the practice, you will rarely come across a fact when there are disputes related to the upbringing of children during the cohabitation of the parents, which are resolved in court. Basically similar disputes arose between the separate sheep of the parents. Consequently, the problems related to upbringing and alimony obligations are more relevant in the future.

Therefore, we will address the issues in the following chapters that provide an understanding of the essence and then meanings of parental rights and responsibilities in the process of raising a child.

The paper includes an annotation, table of contents, introduction, main topic, conclusion and list of used literature.

შესავალი

თემის აქტუალობა. საოჯახო სამართალი ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებს. მოგეხსენებათ, ოჯახიდან წარმოშობილ პრობლემებს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, აქედან გამომდინარე, ეს სოციალური საკითხი პირდაპირ დაკავშირებულია სამართალთან, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი ეხმარება ოჯახს ნორმალურ ფუნქციონირებაში. საოჯახო ურთიერთობებში საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია მშობლების უფლება - მოვალეობანი შვილის აღზრდაში.

მოგეხსენებათ, მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის მთავარი საუძველია ბავშვის დაბადება რეგისტრირებული ქორწინებისას და სისხლით ნათესაობა. როგორც რ. შენგელია და ე. შენგელია განმარტავენ „საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლის“ წიგნში „დედასა და შვილს შორის უფლება - მოვალეობების წარმოშობისათვის საკმარისია მათ შორის სისხლით ნათესაობის ფაქტი - დედისგან ბავშვის დაბადება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, იმყოფებოდა თუ არა დედა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ პირთან, ვისგანაც ბავშვი შეეძინა. რაც შეეხება მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას, იგი სისხლის ნათესაობასთან ერთად, ძირითადად, დაკავშირებულია ქორწინების რეგისტრაციასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირი ნებაყოფლობით აღიარებს არარეგისტრირებული ქორწინების დროს გაჩენილი ბაშვის მამობას ან მისი მამობა დადგენილია სასამართლო წესით“.

დღევანდელ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ძალიან აქტუალური საკითხია ბავშვთა უფლებების დაცვის პრობლემები. სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვა უმთავრესი პრიორიტეტია, შესაბამისად მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებების საკითხიც. მშობლის როლი მის აღზრდასა და განვითარებაში უმთავრესია, ვინაიდან უპირველესად მან უნდა მისცეს ბავშვს ყველა ის საჭიროება, რომელიც რელიზაციაში შეუწყობს ხელს.

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი საკმაოდ დიდ კრიზისს განიცდის, დღითიდღე მატულობს განქორწინების რიცხვიც. ასეთ დროს კი უმნიშვნელოვანესია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.

კვლევის მიზანი: ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს შვილების აღზრდისას მშობლების უფლება-მოვალეობების საკითხის შესწავლა და გამოკვეთილი პრობლემების მოგვარება. მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ რა სამართლებრივი ცვლილებები განიცადა მშობლებისა და შვილების ურთიერობამ, რომელი უფლება - მოვალეობებანია განსაზღვრული კანონით.

ვეთანხმები იმ აზრს, რომ მშობლების უფლება - მოვალეობანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად ურთიერთგანპირობებულია.

აუცილებელია ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, მშვიდ გარემოში, სადაც მასზე იზრუნებენ და მისცემენ საშუალებას საზოგადოებაში სრულფასოვნ მოქალაქედ დაიმკვიდროს თავი. მშობლების განქორწინების შემდეგ ძალიან ხშირად ირღვევა ბავშვის უფლებები, სამწუხაროდ, დიდი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მისი აღზრდის საკითხებს, რასაც შემდგომ გარკვეულ პრობლემებამდე მივყავართ, როგორიცაა კანონთან კომფლიქტში მყოფი მოზარდები, ბავშვები, რომლების სწავლის მიღმა არიან დარჩენილნი და ა.შ.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების შესახებ, იგივე „პეკინური წესების“, რომლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ცდილობენ სათანადო ზოგადი ინტერესის შესაბამისად, ხელი შეუწყონ არასრულწლოვანისა და მისი ოჯახის კეთილდღეობს. წევრი სახელმწიფოები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ განავითარონ ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მნიშვნელოვან არებობას საზოგადოებაში; ასევე ცხოვრების იმ პერიოდში, როდესაც იგი ყველაზე მეტადაა მგძნობიარე დევიანტური ქმედებების მიმართ, ხელის შეწყობა სჭირდება პირად განვითარებას და განათლებას, რომელიც შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელია დანაშაულისა და სამართალდარღვევისგან. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო რესურს, მათ შორის ოჯახის, მოხალისეებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, ასევე სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივი ინტიტუტების მობილიზაციას არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით.

მსგავს პრობლემებს ბავშვებში ვაწყდებით სწორედ არასტაბილური ოჯახური სიტუაციებიდან და არასრულფასოვანი აღზრდიდან გამომდინარე. როდესაც მშობლები ვერ ითავისებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს შვილის აღზრდის პროცესში, ბავშვები დგებიან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორებიცაა სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ა.შ. სწავლის მიღმა დარჩენილნი, ვერ იღებენ სრულფასოვან განათლებას და ფაქტობრივად ვერ იმკვიდრებენ თავს საზოგადოებაში.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა არეგულირებს შვილების მნიშვნელოვან პირად უფლებებს და ამ პროცესში მშობლების როლს. ასევე კანონმდებლობა განსაზღვრავს მშობლების უფლება მოვალეობებს ნაშვილებ ან ოჯახში აღსაზრდელად მიღებულ ბავშვთა მიმართ. კანონმდებლობას ისეთი ბავშვების უფლებებიც აქვს გათვალისწინებული და ნაგულისხმევი, რომლებიც ქორწინების

გარეშე არიან დაბადებულნი. მიუხედავად ამ ყველფრისა, მაინც ვაწყდებით გარკვეულ პრობლემებს.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცანაა, ღრმად ჩაწვდეს ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობას, მათ მაკავშირებელ და განმასხვავებელ დეტალებს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება პრობლემური საკითხების განხილვა და შემაჯამებელი დასკვნის გამოტანა.

კვლევის მეთოდები: თემაზე მუშაობისას, გამოყენებულ იქნა ისტორიული მეთოდი, სამართლებრივი ანალიზის უნარი, შედარებთ სამართლებრივი მეთოდი. კვლევა ვაწარმოე პრაქტიკულ და თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ლიტერატურულ მიმოხილვაშია ნახსენები. სამეცნიერო და ნორმატიული ლიტერატურა დამეხმარა, რომ გამეკეთებინა საკუთარი დასკვნები და ისე დამეწერა წინამდებარე ნაშრომი. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით დაიწერა ზოგიერთი თავი, რათა უკეთ დაგვენახა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას შორის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, როგორც წიგნები, ასევე სტატიები გამოვიყენე, ნაშრომზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა ინტერნეტ-რესურსებიც, რომლებიც მითითებულია სქოლიოშიც და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

საოჯახო ურთიერთობები ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა, სადაც არაერთი პრობლემა და ინტერესი იყრის თავს. ამ ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტას კი გარკვეული სამართლებრივი გზები სჭირდება, რათა გათვალისწინებული და დაცული იყოს თოთოეული მხარის უფლებები.

საქართველო ადამიანის უფლებების შესახებ ყველა საერთაშორისო აქტის მონაწილე სახელმწიფოა. ქვეყნის უზენაეს კანონში, კონსტიტუციაშიც, ცალკე თავი დაეთმო ადამიანის უფლებებს, მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვისკენ არის მიმართული. ბავშვიც თანამედროვე მსოფლიოში განიხილება როგორც უფლებათა სუბიექტი, რაც თავის მხრივ მოითხოვს მშობლის უფლებებსა და ვალდებულებებს ბავშვის მიმართ მზრუნველობის საკითხში. თემაზე კვლევისას აქტიურად ვიყენებდი საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, სადაც საოჯახო სამართალი ინტეგრირებულია და რომელიც ქართული კერძო სამართლის მთავარი ფუნდამენტია.

ბავშვთა უფლებები მსოფლიოში მეტად აქტუალური საკითხია. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, რომელთა მთავარი მიზანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბავშვთა უფლებების დაცვა და მათზე ზრუნვაა როგორც მატერიალურად, ასევე სამართლებრივად. აქედან გამომდინარე, კვლევაზე მუშაობისას, პირველ რიგში, განხილვა უნდა დავიწყოთ კონვენციით „ბავშვთა უფლებების შესახებ“, რომელსაც 1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი და მსოფლიო მასშტაბის იურდიულ დოკუმენტად არის აღიარებული. კონვენცია მოიცავს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, აგრეთვე სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. მსოფლიო ამ აქტუალური თემით, ბავშვთა უფლებებითა და მდგომარეობით, მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა რაც ახალ დაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ საერთაშორისო კავშირმა 1924 წელს მიიღო ხუთ მუხლიანი ბავშვის უფლებების დეკლარაცია, რომელიც ჟენევის დეკლარაციის სახელით არის ცნობილი. მოგვიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეამ მიიღო დეკლარაციის გავრცობილი ვერსია, რომელსაც დამატებით ათი ძირითადი პრინციპი ჰქონდა აღნიშნული ბავშვის დაცვისა და კეთილდღეობის შესახებ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელმწიფოებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ისეთი სრულყოფილი დოკუმენტის

შექმნა, რომელსაც საერთაშორისო კანონმდებლობა გაითვალისწინებდა. კონვენციაში აღნიშნულია ყველა ის ძირითადი საკითხები, რომელთა წინაშეც არაერთი ბავშვი დგას. მრავალი მოსაზრებისა და პრაქტიკის გაანალიზების შემდეგ დაადგინეს, რომ ბავშვთა მიმართ ჩადენილ ძალადობა და უსამართლობა კონვენციის დახმარებით საერთაშორისო კანონმდებლობას უნდა მოეწესრიგებინა. პრობლემები იყო ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაში, მრავალი ბავშვი იყო საბაზისო განათლების მიღმა დარჩენილი. საკმაოდ დიდი მონაცემები იყო ბავშვთა პროსტიტუციისა და მძიმე შრომითი პირობების, აგრეთვე საპატიმროებში მყოფი, ლტოლვილი და საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ბავშვების შესახებ. სწორედ, ამ ძირითად საკითხებს აწესრიგებს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც არაერთი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული და მისი მონიტორინგისთვის საგანგებო კომიტეტიც კი შეიქმნა. მოგეხსენებათ, რატიფიცირების შემდეგ თითოეული სახელწმიფო ხდება კონვენციის მონაწილე და ვალდებულია გადასინჯოს ეროვნული კანონმდებლობა რამდენად შესაბამისობაშია და ხელი შეუწყოს ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელებას. საქართველომ 1994 წელს აიღო ვალდებულება შეესრულებინა „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ ნაკისრი ვალდებულებები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ე.წ. „პეკინური წესები“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მაქსიმალური ხელშეწყობა, რაც მაქსიმალურად შეამცირებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების გამოყენებას და შესაბამისად შეამცირებს შესაძლო სამომავლო დანაშაულებსაც. არასრულწლოვნების მიმართ მზრუნველობითი ღონისძიებები აუცილებელია მანამ, სანამ სამართალდარღვევას ჩაიდენს. აღნიშნული წესები გვეხმარება, რათა თავიდან ავიცილოთ სამომავლოდ პრობლემები და განვსაზღვროთ არასრულწლოვანთა სოციალური სამართლიანობის საკითხები. „პეკინური წესები“ განზრახ ფორმულირებულია ისე, რომ შეიძლება მისი გამოყენება განსხვავებულ სამართლებრივ სისტემაშიც და, მიუხედავად ამისა, თან აყალიბებს მინიმალურ სტანდარტებს არასრულწლოვანი სამართალდარღვევების მოპყრობისა და არასრულწყლოვანის ნებისმიერი განმარტების შესახებ, რომელიც გულისხმობს ფართო ასაკობრივ სპექტრს 7-18 წლამდე ან ზემოთ. აღნიშნულ წესებში მშობლებისა და მეურვეების შესახებაც არის აღნიშნვა და მითითებულია, რომ მთელი სამართალწარმოებისას მათი მონაწილეობის უფლება განიხილება, როგორც არასრულწლოვნებისთვის ფსიქოლოგიურ და მორალურ დახმარებად. აღნიშნულია ისიც, რომ თუ მშობლები და შვილები მტრულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, ასეთ შემთხვევაში სასამართლოზე მშობლები არ დაიშვებიან. „პეკინური წესები“

ხაზს უსვამს სოციალური მოკვლევის შესახებ ანგარიშებსაც, სადაც მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: არასრულწლოვნის სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, კარიერა სკოლაში, საგანმანათლებლო გამოცდილება და ა.შ (მუხლი 16).

დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ საკითხებს ბავშვის აღზრდის პროცესში, სწორედ ამიტომ, გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) საკმაოდ დიდი ხანია ეხმარება საქართველოს მთავრობას ბავშვის უფლებების დაცვასა და კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, რაც გულისხმობს როგორც ეროვნულ კანონდებლობაში გათვალისწინებას, ასევე პრაქტიკაშიც. სასამართლოები აქტიურად მუშაობენ და ფაქიზად უდგებიან ბავშვის უფლებების საკითხების გადაწყვეტას. მშობლის როლი ბავშვის აღზრდაში უმთავრესია, აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, მშობლის ფუნქციებში შედის ბავშვი უზრუნველყოს ყველა იმ სიკეთეებით, რაც მას დაეხმარება რეალიზებაში, მაგალითად, განათლება, სოციალური საჭიროებები და ა.შ. ვინაიდან, ერთის მხრივ, ბავშვის დაცვის ვალდებულება და უფლება მშობელს მიემართება, მეორეს მხრივ, შესაძლოა სწორედ მის მხრიდან დაირღვეს კონსტიტუციითა და კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები. სწორედ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, რომ მსგავსი შემთხვევის არსებობისას აღკვეთოს გამოვლენილი სიტუაცია და იზრუნოს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე. საქართველოს პარლამენტმა ბავშვის უფლებათა კოდექსი მიიღო, რომელიც აღნიშნულ პრობლემებს პასუხობს და სამართლებრივ პრაქტიკაში მალე საკმაოდ დიდ ადგილს დაიკავებს. აღნიშნული კოდექსის შემუშავება გაეროს ბავშვთვა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მთავარი პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსში ტერმინი „საუკეთესო ინტერესები“ განისაზღვრება, როგორც „ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის გათვალისწინებით“. ამ კოდექსით უნდა იხელმძღვანელონ როგორც საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საერთო სასამართლოებმა, ასევე ფიზიკურმა პირებმაც, რომელთაც ბავშვებთან ან მათთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოდექსი ისეთ იურდიულ გარანტიებს იძლევა, რომელთა დახმარებითაც ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები

მართლმსაჯულების ინსტიტუტების დახმარებით. აგრეთვე კოდექსი ითვალისწინებს და ნერგავს ოჯახის დახმარების პროგრამებს.

ერთ - ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია ჰააგის კონვენციაც „ბავშვთა დაცვისა და ქვეყანათაშორისი შვილად აყვანის დარგში თანამშრომლობის შესახებ“ . აღნიშნული კონვენციის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან იმ საკითხზე, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის, საჭიროა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერებისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის განხილვა. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული გერმანიაც და ამგვარი თანამშრომლობის მეშვეობით მნიშვნელოვანი საკონსულტაციო დახმარება გაუწია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა, ფაქტობრივად დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ იურდიულ მეცნიერებაში საოჯახო სამართალს არაერთი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გამოკვლევები მიუძღვნეს : რ. შენგელიამ და ე. შენგელიამ, გ. ნადარეიშვილმა, ვ. მეტრეველმა და გ. ლობჟანიძემ.

ვალერიან მეტრეველი გვაწვდის ინფორმაციას რომის საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის შესახებ. საბჭოურ პერიოდში ძირითადად ყურადღებას აქცევდნენ რომის სამოქალაქო სამართალს, ახლა მეტად განსხვავებულად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ რომში არასდროს ყოფილა გენდერული თანასწორობა, რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ, როგორც ქალის და კაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს. რომაული სამართალი ორი სახის ქორწინებას გვთავაზობს, პირველი სახეა კანონიერი ქორწინება, როდესაც ორვე მხარე რომაელია და მეორე - რომაელ მოქალაქეთა ქორწინება უცხოქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთა უფლებებიც განისაზღვრება რომის სამოქალაქო სამართლით. რომაული სამართლიდან შეგვიძლია გამოვყოთ ფაქტობრივი ქორწინების ცნებაც, ანუ კონკუბინატი, რაც გულისხმობს იმას, რომ სოციალური განსხვავების გამო არ შეიძლებოდა ქორწინება იურდიულად გაფორმებულიყო, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წყვილი ერთად ცხოვრობდნენ და შესაძლოა შვილებიც ჰყოლოდათ, ცოლს კანონიერი მეუღლის უფლებები არ ჰქონდა და არც შვილს კანონიერი შვილის უფლებები. ძველი რომაული სამართლის მიხედვით ქორწინების შემდეგ ქალი და მისი ბავშვები მამაკაცის დაქვემდებარებაში იყვნენ. ქმრის ძალაუფლება იმდენად განუსაზღვრელი იყო, რომ ცოლის მხრიდან ღალატის შემთხვევაში მისი ფიზიკური განადგურების უფლებაც კი ჰქონდა. დრო და დრო ეს უფლებები შეიზღუდა და დაიხვეწა. განქორწინება თანამედროვე რომაულ სამართალში

როგორც მამაკაცს, ისე ქალსაც შეეძლო. რომაულ ოჯახში კი შვილებზე მხოლოდ მამის ხელისუფლება ვრცელდებოდა. მაგალითად, ვაჟს უფლება ჰქონდა კომერციის, მაგრამ ყოველი მისი შემოსავალი მამის ქონებაში გადადიოდა. მამის განუსაზღვრელი უფლებები ვრცელდებოდა შვილების ფიზიკურ განადგურებაზეც. დიდი დრო დასჭირდა ამ წესების შვილების სასარგებლოდ შეცვლას. შვილები ნელ-ნელა გათავისუფლდნენ ამგვარი მკაცრი რეჟიმისგან. ძველი რომაული სამართალი აწესრიგებდა მამობის წარმოშობის საკითხებსაც. მამის ხელისუფლება შვილზე წარმოიშობოდა შვილის დაბადებიდან ან შვილად აყვანით. გარდა ამისა, რომაული სამართალი ზრუნავდა იმ პირებზეც, რომელთაც არ ჰყავდათ ოჯახი და მამის მზრუნველობას მოკლებულნი იყვნენ. რომაული სამართალი ზრუნავდა განქორწინების შემდეგ ქალებსა და მათ შვილებზე. როგორც გ. ლობჟანიძე აღნიშნავს წიგნში „რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი“, სწორედ ძველ რომაელ იურისტებს მიუძღვით დიდი წვლილი სამოქალაქო სამართალში მეურეეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის შემოღებაში. „სერვიუსის განსაზღვრებით, მეურვეობა არის ცივილური სამართლის მიერ მინიჭებული და დაშვებული უფლება და ხელისუფლება იმ თავისუფალი პირის დაცვისა, რომელსაც ასაკის გამო თავის დაცვა არ შეუძლია, ხოლო მეურვეები არიან ის პირები, რომლებსაც ეს ძალა და ხელისუფლება გააჩნიათ“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეურვეებად არა მხოლოდ ოჯახის მამა ინიშნებოდა, არამედ შესაძლებელი იყო შვილიც ან საკუთარი მონაც. არასრულწლოვნებისთვის რომის სამართლის მიხედვით მეურვეობა ინიშნებოდა ოჯახუს უფროსის ნებით ან სახელმწიფოს განკარგულებით. ჯერ კიდევ იმ პერიოდში ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ მეურვეს აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა გარკვეული მოთხოვნები კანონის შესაბამისად, მაგალითად, სამართლებრივი სტატუსი ან პროფესია უნდა ჰქონოდა შესაბამისი, რომ ამ პოზიციაზე დანიშნულიყო. მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა სამეურვეო პირის დაცვა, მაგალითად, 7 წლამდე ასაკის პირისთვის, რომლის აღზრდაც დედას ევალებოდა, აღზრდაში არ ჩაერეოდა, სამაგიეროდ ხარჯების ანაზღაურება შედიოდა მის ვალდებულებაში. 7 წლამდე ასაკის პირის ქონების დამოუკიდებლად მართვა, რომელსაც კეთილსინდისიერად და რაციონალურად უნდა მოპყრობოდა, მიღებული კუთვნილი შემოსავლები უნდა დაემატებინა, ხოლო ზარალისთვის პასუხი უნდა ეგო.

ბავშვის აღზრდა და მასზე ზრუნვა სახელწმიფოს უმნიშვნელოვანესი ფუქნციაა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტმა გარკვეული განვითარების ეტაპები განვლო. მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დავით ბატონიშვილის „სამოქალაქო ჰსჯულდება“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ. ბატონიშვილის სამართალი იცნობს მეურვეობის

ინსტიტუტს, რომელიც გულისხმობს მეურვეობის განხორციელებას სხვადასხვა სფეროში. „ვექილი“ ამ შემთხვევაში მეურვეს ნიშნავს, რომელიც მხოლოდ ობოლ ბავშვებს ენიშნებოდათ. გ. ნადარეიშვილი „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის“ წიგნში სრულწყოფილად საუბრობს საოჯახო სამართლის განვითარების საკითხებზე. აღსანიშნავი იყო მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობის განხილვა. ავტორის თქმით, ძველად საქართველოში მშობლებს შვილების მიმართ ისეთივე უფლებები გააჩნდათ, როგორც ძველ რომში. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ მეფეების ხანაში, ქრისტიანობამდე, მშობლებს შვილების მოკვლის უფლებაც კი ჰქონიათ. ვინაიდან ქრისტიანული რელიგიაა არ იძლეოდა შვილის სიკვდილით დასჯისა და მონად გაყიდვის უფლებას, შესაბამისად მშობლებსა და შვილებს შორის ცივილიზირებული ურთიერთობის დამკვიდრებასაც შეუწყო ხელი. მნიშვნელოვანია ის განმარტებაც, რომ ვასილი დიდის მოძღვრებით მშობლებმა შვილებს სიცოცხლის მინიჭების გარდა, ვალდებულებაც უნდა იკისრონ, რომ მათ თანაბრად მისცენ სარჩო და საბადებელი.

რ. შენგელია და ე. შენგელია წიგნში „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ ფართოდ განიხილავენ საოჯახო - სამართლებრივ ურთიერთობებს. საოჯახო - სამართლებრივი ურთიერთობანი, იმის მიხედვით თუ რამდენად ინდივიდუალიზებულია მათი სუბიექტები, იყოფა ფარდობით და აბსოლუტურ სახეებად. ფარდობითობის პრინციპად შეგვიძლია მივიჩნიოთ საალიმენტო ურთიერთობა, როდესაც სუბიექტის უფლებას შეესაბამება მეორე სუბიექტის ვალდებულება. მშობლებსა და შვილებს შორის არსებული სამართლებრივ ურთიერთობებში სადაც თითოეულს გააჩნია კონკრეტული უფლება, ასეთ შემთხვევაში მრავალსუბიექტიანი ფარდობითი ურთიერთობაა. რაც შეეხება აბსოლუტურ საოჯახო - სამართლებრივ ურთიერთობებს შედარებით მცირერიცხოვანია, რაც მეუღლეთა საკუთრებით - სამართლებრივ ურთიერთობებს გულისხმობს. საოჯახო სამართლით მინიჭებული უფლებების განხორციელებისას კანონისა და ზნეობრივი ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ სუბიექტები. მნიშვნელოვანი საკითხია საოჯახო - სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვის განხორციელების საკითხი. ძირითადად სასამართლო და ადმინისტრაციული წესით ხორციელდება უფლებათა დაცვა, მაგრამ არსებობს სანოტარო მედიაციაც. სასამართლოში საოჯახო უფლებების დაცვა შესაძლებელია უდავო წესითაც რაც გულისხმობს, სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვას ბავშვების მიტოვებულად აღიარებასა და შვილად აყვანის შესახებ, აგრეთვე შვილების აღზრდასთან დაკავშირებული დავების შესახებ. წიგნში ცალკე თავი ეთმობა მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობებს. ავტორთა თქმით, „მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველია ბავშვის დაბადება

რეგისტრირებული ქორწინების დროს და სისხლით ნათესაობა“. ბავშვის დაბადების შემდეგ ხდება მისი რეგისტრაცია, დაბადების მოწმობაში მითითებულ მშობლებს კი გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ შვილის მიმართ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბავშვის დაბადების რეგისტრაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს რეგისტრირებული ქორწინებიდან გაჩნდა თუ არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი მშობლებისგან, რეგისტრაცია აუცილებლად უნდა მოხდეს, მხოლოდ რეგისტრაციის წესებშია განსხვავება. მაგალითად, არარეგისტრირებული ქორწინებიდან გაჩენილი შვილის დედად პირის აღიარება ეყრდნობა მისგან ბავშვის გაჩენის ფაქტს, ხოლო მამად პირის ცნობა ხდება მისი განცხადების საფუძველზე. „მამობის ნებაყოფლობითი აღიარება ცალმხრივი იურდიული აქტია, რომელიც მამასა და შვილს შორის განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს“. ამ საკითხებს გარკვეულ უფლება - მოვალეობებთან მივყავართ. დავეთანხმები ავტორთა მოსაზრებებს, რომ მშობლის როლი საკმაოდ დიდია ბავშვის პირადი უფლებების განხორციელებისას, მაგალითად, შვილების სახელის უფლება, მშობლებთან ერთად ცხოვრებისა და მათთან ურთიერთობის უფლება, განათლების მიღების უფლება და სხვა. აღნიშნულ უფლებათა სწორად გააზრება და აღზრდის პროცესში გათვალისწინება უმთავრესია. როგორც რ. შენგელია და ე. შენგელია აღნიშნავენ „ბავშვის პირადად აღზრდის უფლება მშობლებს შესაძლებლობას აძლევს გაატარონ ბავშვის ხასიათის ფორმირებისათვის აუცილებელი ღონისძიებები“. სამწუხაროდ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები ვერ იაზრებენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს, რომ კანონით დადგენილი წესების მიხედვით შვილების რჩენის ვალდებულება აქვთ მათი სრულწლოვანობის ასაკამდე, უპირველესად, კი შვილების ქონებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება. ავტორები საუბრობენ მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტზეც, რომლის მთავარი ფუნქციაა მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირების აღზრდა და მათი უფლებების დაცვა. აღნიშნეს განსხვავება, ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების და, მეორე მხრივ, მეურვედ ან მზრუნველად დანიშნული პირების ფუნქციების. ავტორთა მოსაზრებები დამეხმარა საერთაშორისო გაშვილების საკითხების სიღრმისეულ გააზრებაშიც, რომლის საფუძველზეც გამოვიტანე გარკვეული დასკვნები და მოვახდინე შედარებები.

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას ასევე ვიყენებდი ელექტორნულ სამართლის ჟურნალებს და ინტერნეტს-რესურსებს, რომლებიც მეხმარებოდა გარკვეული ანალიზის გაკეთებაში. აგრეთვე, შესაბამისი თემების მიხედვით ვეცნობოდი როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ სასამრთლოს პრაქტიკებს, რათა შედარება და ობიექტური შეფასება მომეხდინა გარკვეული საკითხების.

თავი II. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობათა განვითარების ეტაპები

2.1. შვილებისა და მშობლების ურთიერთობების ისტორიული საფუძვლები

რომის სამართლის მიხედვით შვილებისა და მშობლების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები განსხვავებულად არის რეგულირებული, ვინაიდან აღნიშნული სამართალი არ ცნობს მშობლების თანასწორუფლებიანობას შვილების აღზრდის პროცესში. რომაული სამართლის მიხედვით, ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები, მიუხედავად იმისა, რომ ითვლებოდნენ ნათესაობაში დედასთან, ამ უკანასკნელს მაინც არ გააჩნდა მშობლის უფლებები. როგორც ვ. მეტრეველი განმარტავს „რომის სამართალში“, „რომაულ ოჯახში შვილზე, იქნებოდა ის უცოლშვილო თუ ცოლშვილიანი, ვრცელდებოდა მხოლოდ მამის (და არა დედის) ხელისუფლება“. დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, ამ ურთიერთობამ სახე იცვალა და ახლა უკვე ძველი რომაური სამართლისგან განსხვავებით, ოჯახში მამას მხოლოდ შვილის დასჯის უფლება ჰქონდა. ვინაიდან, რომაულ სამართალს საფუძვლად რომაული ტრადიციები ჰქონდა, შესაბამისად ხელისუფლება შვილზე მამას ეკუთვნოდა. დროთა განმავლობაში ამ ტრადიციებმაც იცვალა სახე და მამის ძალაუფლება შეიზღუდა ბავშვთა უფლებათა პრიორიტეტულობიდან გამომდინარე. გარდა პრიორიტეტულობისა, ასევე დაეკისრათ გარკვეული მოვალეობებიც, რომელიც გულისხმობდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ბავშვის აღზრდა, ქორწინების შემთხვევაში რჩევების მიცემა, მზრუნველისა და მეურვის შერჩევის უფლება და სხვა.

„მამის ხელისუფლებასაც ჰქონდა დასასრული რომის სამართალში, არსებობდა სხვადასხვა გზა, მამის ხელისუფლების შეწყვეტისა, მამის ხელისუფლება წყდებოდა : 1. მამის გარდაცვალებით; 2. ბავშვის გარდაცვალებით; 3. მამისთვის მამის ხელისუფლების ჩამორთმევით, ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ მან უღირსი საქციელი ჩაიდინა, თუ გააგდო თავისი შვილი, თუ მაჭანკლობდა საკუთარ ქალიშვილთან, ან ხელი შეუწყო ინცენტიურ ქორწინებას; 4. შვილად აყვანილის მიერ რაიმე საპატიო წოდების მიღება, რომელიც მას უფლებას აძლევდა გამოსულიყო მამის ხელისუფლებიდან; 5. მამის ხელისუფლება წყდებოდა ემანსიპაციის გზითაც, თუ მამა

ათავისუფლებდა თავისი ხელისუფლების ქვეშ მყოფს და ეს უკანასკნელიც თანახმა იყო ამაზე".[1] ამ უკანასკნელმა კიდევ იცვალა სახე და ახლა უკვე პირდაპირ შეუძლიათ მშობლებს მიმართონ შესაბამის მოსამართლეს, რათა თავიანთი ნებით გაანთავისუფლონ შვილები თავიანთი ხელისუფლებიდან.

როგორც გ. ნადარეიშვილი აღნიშნვს ქართული საოჯახო სამართლის განვითარება პირდაპირ კავშირშია ქართველი ხალხის და სახელწმიფოს ისტორიასთან. ფეოდალიზმის პერიოდში საზოგადოებაში მამული და ოჯახი, მიწის საკუთრება და ქორწინება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო. ოჯახს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ვინაიდან სწორედ ოჯახში ხორციელდებოდა ადამიანის აღზრდა და პიროვნების ფორმირება, რაც შემდგომში განაპირობებდა საზოგადოებაში ეკონომიკურ, ზნეობრივ, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ ურთიერთობებს.[2]

საოჯახო საკითხის განხილვა საბჭოთა ხელისუფლების დროიდანაც, რომ დავიწყოთ, ჯერ კიდევ მაშინვე ითვალისწინებდა კანონმდებლობა ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვისა და რეგისტრირებული ქორწინებით გაჩენილი ბავშვის უფლებების გათანაბრებას, ბავშვის ინტერესების დაცვის პრიორიტეტებს მშობლების უფლებების განხორციელებისას, საალიმენტო ვალდებულებებსა და ა.შ.

„1918 წლის 16 სექტემბერს ძალაში შევიდა კოდექსი „ მოქალაქეობრივი მდგომარეობის, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო სამართლის კანონების" შესახებ. ამ კოდექსმა მთლიანად მოიცვა საქორწინო და საოჯახო ურთიერთობა. კოდექსში დაწვრილებით იყო განხილული მეუღლეთა უფლება - მოვალეობების საკითხი. კოდექსი ადგენდა მამობისა და დედობის სასამართლო - სარეგისტრაციო წესს. მამობისა და დედობის დადგენა წარმოებდა დაბადების ჩაწერის წიგნში აღნიშვნის გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ჩაწერას ადგილი არ ჰქონდა ან არასწორი იყო, ასეთ შემთხვევაში სასამართლო წესით ხდებოდა დამტკიცება".[3]

დღევანდელისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის სამართალში საქორწინო და საოჯახო სამართალი ცალკე კოდექსით რეგულირდებოდა. დროთა განმავლობაში, დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ცვლილებები შეეხო საოჯახო სამართლებრივ საკითხებსაც და მიიჩნიეს, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის ანალოგიით შექმნილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სადაც გააერთიანეს საოჯახო სამართალი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო

[1] ვ. მეტრეველი -რომის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბ. 2009, გვ.105
[2] გ. ნადარეიშვილი - „ქართული სახელმწიფო და სამართლის ისტორია",თბ.2009,გვ:150
[3] ს. ჯორბენაძე - „საბჭოთა საოჯახო სამართალი", „სახ. უნივერსიტეტი", თბ. 1957, გვ.104

ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლში ვკითხულობთ, რომ „ ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.[4]

თანამედროვე კანონმდებლობით მეტად გათვალისწინებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესები, მისი აღზრდისა და განვითარებისთვის საჭირო რესურსები, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია გვეუბნება, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდაზე.[5] დღესდღეობით ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შვილებისა და მშობლების ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, სადაც ცალკე საოჯახო სამართლის თავში საუბრობენ ბავშვის მიმართ ზრუნვისა და რჩენის საკითხებზე. საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, მშობელი როგორც აღმზრდელი ვალდებულია სათანადო ყურადღება დაუთმოს შვილის ინტერესებსა და საჭიროებებსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, კი ვხედავთ, რომ ისტორიული განვითარების ეტაპებზე, ცალსახად განვითარება ჰპოვა შვილებისა და მშობლების ურთიერთობამ.

2.2. შვილებისა და მშობლების ურთიერთობების საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

ბავშვთა უფლებები მსოფლიოში მეტად აქტუალური საკითხია. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, რომელთა მთავარი მიზანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბავშვთა უფლებების დაცვა და მათზე ზრუნვაა როგორც მატერიალურად, ასევე სამართლებრივად. აქედან გამომდინარე, კვლევაზე მუშაობისას, პირველ რიგში, განხილვა უნდა დავიწყოთ კონვენციით „ბავშვთა უფლებების შესახებ“[6], რომელსაც 1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი და მსოფლიო მასშტაბის იურდიულ დოკუმენტად არის აღიარებული. კონვენცია მოიცავს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1.
[5] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 1995 წელი, მუხლი 5.
[6] ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული, 1989 წელი 20 ნოემბერი.

უფლებებს, აგრეთვე სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. მსოფლიო ამ აქტუალური თემით, ბავშვთა უფლებებითა და მდგომარეობით, მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა რაც ახალ დაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ საერთაშორისო კავშირმა 1924 წელს მიიღო ხუთ მუხლიანი ბავშვის უფლებების დეკლარაცია, რომელიც ჟენევის დეკლარაციის სახელით არის ცნობილი. მოგვიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეამ მიიღო დეკლარაციის გავრცობილი ვერსია, რომელსაც დამატებით ათი ძირითადი პრინციპი ჰქონდა აღნიშნული ბავშვის დაცვისა და კეთილდღეობის შესახებ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელმწიფოებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ისეთი სრულყოფილი დოკუმენტის შექმნა, რომელსაც საერთაშორისო კანონმდებლობა გაითვალისწინებდა. კონვენციაში აღნიშნულია ყველა ის ძირითადი საკითხები, რომელთა წინაშეც არაერთი ბავშვი დგას. მრავალი მოსაზრებისა და პრაქტიკის გაანალიზების შემდეგ დაადგინეს, რომ ბავშვთა მიმართ ჩადენილ ძალადობა და უსამართლობა კონვენციის დახმარებით საერთაშორისო კანონმდებლობას უნდა მოეწესრიგებინა. პრობლემები იყო ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაში, მრავალი ბავშვი იყო საბაზისო განათლების მიღმა დარჩენილი. საკმაოდ დიდი მონაცემები იყო ბავშვთა პროსტიტუციისა და მძიმე შრომითი პირობების, აგრეთვე საპატიმროებში მყოფი, ლტოლვილი და საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ბავშვების შესახებ. სწორედ, ამ ძირითად საკითხებს აწესრიგებს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც არაერთი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული და მისი მონიტორინგისთვის საგანგებო კომიტეტიც კი შეიქმნა. მოგეხსენებათ, რატიფიცირების შემდეგ თითოეული სახელწმიფო ხდება კონვენციის მონაწილე და ვალდებულია გადასინჯოს ეროვნული კანონმდებლობა რამდენად შესაბამისობაშია და ხელი შეუწყოს ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელებას. საქართველომ 1994 წელს აიღო ვალდებულება შეესრულებინა „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ ნაკისრი ვალდებულებები. კონვენციაში ოთხი ძირითადი პრინციპია დაცული, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ეროვნულ დონეზე: 1. კონვენციაში გამოკვეთილი ყველა უფლება ეხება თითოეულ ბავშვს ყოველგვარი დისკრეციის გარეშე (მუხლი 2); 2. ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას (მუხლი 3); 3. ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მუხლი 6); 4. გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება (მუხლი 12).[7] გარდა ამისა, კონვენცია

[7] ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული, 1989 წელი 20 ნოემბერი.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ ბავშვებს აქვთ უფლება გამოხატონ საკუთარი აზრი მათ ირგვლივ არსებულ ვითარებაზე, როგორც ოჯახში ასევე საზოგადოებაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ ე.წ. „პეკინური წესები“.[8] აღნიშნული დოკუმენტის მიზანია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მაქსიმალური ხელშეწყობა, რაც მაქსიმალურად შეამცირებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების გამოყენებას და შესაბამისად შეამცირებს შესაძლო სამომავლო დანაშაულებსაც. არასრულწლოვნების მიმართ მზრუნველობითი ღონისძიებები აუცილებელია მანამ, სანამ სამართალდარღვევას ჩაიდენს. აღნიშნული წესები გვეხმარება, რათა თავიდან ავიცილოთ სამომავლოდ პრობლემები და განვსაზღვროთ არასრულწლოვანთა სოციალური სამართლიანობის საკითხები. „პეკინური წესები“ ისეა შედგენილი, რომ შეიძლება მისი გამოყენება განსხვავებულ სამართლებრივ სისტემაშიც და, მიუხედავად ამისა, თან აყალიბებს მინიმალურ სტანდარტებს არასრულწლოვანი სამართალდარღვევების მოპყრობისა და არასრულწყლოვანის ნებისმიერი განმარტების შესახებ, რომელიც გულისხმობს ფართო ასაკობრივ სპექტრს 7-18 წლამდე ან ზემოთ. აღნიშნულ წესებში მშობლებისა და მეურვეების შესახებაც არის აღნიშნვა და მითითებულია, რომ მთელი სამართალწარმოებისას მათი მონაწილეობის უფლება განიხილება, როგორც არასრულწლოვნებისთვის ფსიქოლოგიურ და მორალურ დახმარებად. აღნიშნულია ისიც, რომ თუ მშობლები და შვილები მტრულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, ასეთ შემთხვევაში სასამართლოზე მშობლები არ დაიშვებიან. „პეკინური წესები“ ხაზს უსვამს სოციალური მოკვლევის შესახებ ანგარიშებსაც, სადაც მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა : არასრულწლოვნის სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, კარიერა სკოლაში, საგანმანართლებლო გამოცდილება და ა.შ[9]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს არარსრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სადაც ცალსახად აღინიშნება, რომ ამ კოდექსის მთავარი მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს, საზოგადოებაში არასრულწლოვნების სრულუფლებიან და მაღალი სამართლებრივი თვითშეგნების მქონე პირებად დაბრუნებას.

[8] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ „პეკინური წესები“- 1985 წლის 29 ნოემბერი.
[9] იქვე, მუხლი 16.

აღნიშნული კოდექსი შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციასა და საერთაშორისო სამართლით გათვალიწსინებულ პრინციპებსა და ნორმებს.[10]

დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ საკითხებს ბავშვის აღზრდის პროცესში, სწორედ ამიტომ, გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) საკმაოდ დიდი ხანია ეხმარება საქართველოს მთავრობას ბავშვის უფლებების დაცვასა და კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, რაც გულისხმობს როგორც ეროვნულ კანონდებლობაში გათვალისწინებას, ასევე პრაქტიკაშიც. სასამართლოები აქტიურად მუშაობენ და ფაქიზად უდგებიან ბავშვის უფლებების საკითხების გადაწყვეტას. მშობლის როლი ბავშვის აღზრდაში უმთავრესია, აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, მშობლის ფუნქციებში შედის ბავშვი უზრუნველყოს ყველა იმ სიკეთეებით, რაც მას დაეხმარება რეალიზებაში, მაგალითად, განათლება, სოციალური საჭიროებები და ა.შ. ვინაიდან, ერთის მხრივ, ბავშვის დაცვის ვალდებულება და უფლება მშობელს მიემართება, მეორეს მხრივ, შესაძლოა სწორედ მის მხრიდან დაირღვეს კონსტიტუციითა და კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები. სწორედ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, რომ მსგავსი შემთხვევის არსებობისას აღკვეთოს გამოვლენილი სიტუაცია და იზრუნოს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე.

საერთაშორისო სამართალში ბევრია ისეთი საქმე, როდესაც სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება. მაგალითად, ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმე იყო *Baumbast and R v. Secretary of State for the Home Department*.[11] აღნიშნულ საქმეში სირთულეს წარმოადგენდა ის ფაქტი, თუ რამდენად შეეძლო მიგრანტი გერმანელი მუშაკის შვილებს დიდ ბრიტანეთში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება, როდესაც მამა დატოვებდა ქვეყანას მოქალაქეობის არ ქონის გამო და შვილებსა და კოლუმბიელ ცოლს დატოვებდა. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ ბატონმა უარი განაცხადა ევროპის კავშირის მიგრანტი დასაქმებულის პირის სტატუსზე, შესაბამისად სასამართლოს უნდა განესაზღვრა რამდენად შეძლებდა გერმანელი მიგრანტის ცოლშვილი მიმღებ სახელწმიფოში დამოუკიდებლად დარჩენას, ვინაიდან მათ ბინადრობის უფლება სწორედ ამ კაცისგან წარმოეშვათ. სასამართლოსთვის მთავარი და გადამწყვეტილი მნიშვნელობის აღმოჩნდა ბავშვების საკითხი, ვინაიდან ისინი უკვე ინტეგრირებულნი იყვნენ სახელმწიფოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შესაბამისად მათთვის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც

[10] საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 2015 წლის 12 ივნისი, მუხლი 1.

[11] ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, C-413/99, *Baumbast and R v. Secretary of State for the Home Department*, 2002 წლის 17 სექტემბერი.

ხელს შეუშლიდა განათლების მიღების პროცესს, საკმაოდ საზიანო იქნებოდა. ბავშვის განათლების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდგომში მისი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის, სწორედ, ამ მოტივაციით გადაწყვიტა სასამართლომ, რომ მიმღებ სახელწმიფოში ოჯახს ბინადრობის უფლება გაუგრძელდებოდათ მიგრანტი ბავშვების სწავლის ხანგრძლივობის განმავლობაში. საერთაშორისო სამართალი დიდ ყურადღებას აქცევს თანასწორობის პრინციპებს, შესაბამისად განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ იგივენაირად იყოს ხელმისაწვდომი მიგრანტებისთვის, როგორც მკვიდრი მაცხოვრებლებისთვის.

საქართველოს პარლამენტმა ბავშვის უფლებათა კოდექსი მიიღო, რომელიც აღნიშნულ პრობლემებს პასუხობს და სამართლებრივ პრაქტიკაში მალე საკმაოდ დიდ ადგილს დაიკავებს. აღნიშნული კოდექსის შემუშავება გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მთავარი პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსში ტერმინი „საუკეთესო ინტერესები“ განისაზღვრება, როგორც „ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის გათვალისწინებით“.[12] ამ კოდექსით უნდა იხელმძღვანელონ როგორც საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საერთო სასამართლოებმა, ასევე ფიზიკურმა პირებმაც, რომელთაც ბავშვებთან ან მათთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოდექსი ისეთ იურდიულ გარანტიებს იძლევა, რომელთა დახმარებითაც ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები მართლმსაჯულების ინსტიტუტების დახმარებით. აგრეთვე კოდექსი ითვალისწინებს და ნერგავს ოჯახის დახმარების პროგრამებს.

ერთ - ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია ჰააგის კონვენციაც „ბავშვთა დაცვისა და ქვეყანათაშორისი შვილად აყვანის დარგში თანამშრომლობის შესახებ“.[13] აღნიშნული კონვენციის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან იმ საკითხზე, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის, საჭიროა იზრდებოდეს ოჯახურ

[12] საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2019 წელი 20 სექტემბერი, მუხლი 3.

[13] ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ქვეყანათაშორისი შვილად აყვანის დარგში თანამშრომლობის შესახებ“ – დადებული 1993 წლის 29 მაისს, ძალაში შესული 1995 წლის 1 მაისს.

გარემოში, ბედნიერებისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. თითოეული სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ისეთი ზომების მიღება, რომელიც ბავშვს შესაძლებლობას მისცემს დარჩეს თავისი მშობლიური ოჯახის მზრუნველობის ქვეშ. ქვეყანათაშორის შვილად აყვანას შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს მუდმივი ოჯახით სარგებლობისთვის, თუ შეუძლებელია შესაფერისი ოჯახის მოძებნა მშობლიურ სახელმწიფოში. ქვეყანათაშორის შვილად აყვანები უნდა მოხდეს ბავშვის ინტერესთა გათვალისწინებით და ძირითადი უფლებების პატივისცემით, ვინაიდან თავიდან ავიცილოთ ბავშვთა მოტაცება, გაყიდვა და ტრეფიკინგი. სწორედ, აქედან გამომიდნარე, შემუშავდა საერთო დებულებები, რომელთა გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საერთაშორისო დოკუმენტი. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, შვილად აყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, როდესაც წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები გაარკვევენ და დარწმუნდებიან, რომ პირებს, შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანოებს, რომელთა თანხმობაც აუცილებელია შვილად აყვანისთვის მიცემული აქვთ შესაბამისი რჩევები, სათანადოდ არიან ინფორმირებული და პერსპექტიული მშობლები მისაღები და შესაფერისნი არიან ბავშვის საშვილებლად.[14]

თითქმის ყველა ჯერდება, იმ ფაქტზე, რომ შვილის აღზრდასა და მისი უფლებების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა სამომავლოდ საზოგადოებამ პროგრესული და ჯანსაღად მოაზროვნე ინდივიდი შეიძინოს. ჰააგის კონვენცია „ბავშთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“[15] მონაწილე სახელმწიფოებს მიუთითებს, რომ ბავშვების ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მათზე მზურნველობასთან დაკავშირებულ საკითხებში. აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი დაგაადგილებისა და დაკავების მავნე შედეგებისგან. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი სწრაფი დაბრუნება მათ საცხოვრებელ სახელმწიფოში და უზრუნველყონ დაცვის გარანტიები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის განხილვაც.[16] საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული გერმანიაც და ამგვარი თანამშრომლობის მეშვეობით მნიშვნელოვანი საკონსულტაციო დახმარება გაუწია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა, ფაქტობრივად დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული

[14] ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ქვეყანათშორისი შვილად აყვანის დარგში თანამშრონლობის შესახებ“ დადებული 1993 წლის 29 მაისს, ძალაში შესული 1995 წლის 1 მაისს.

[15] ჰააგის კონვენცია „ ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ დადებულია 1980 წლის 25 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 1983 წლის 1 დეკემბერს.

[16] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 01 მარტი http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 19.06.2021.

სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო სამართალს ცალკე თავი ეთმობა და დაწვრილებით განიხილება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, ყურადღება მიიქცია ცალკე მუხლებად გამოყოფილმა დედობისა და მამობის ცნების განსაზღვრებამ. მაგალითად, „ბავშვის დედას წარმოადგენს ქალი, რომელმაც იგი დაბადა. ბავშვის მამას წარმოადგენს მამაკაცი, 1. ვინც დაბადების მომენტში დაქორწინებულია დედასთან, 2. რომელმაც აღიარა მამობა, 3. ვისი მამობაც სასამართლო წესით დადგენილია ან „საოჯახო და ნაბაყოფლობითი იურისდიქციის საქმეთა წარმოების შესახებ“[17]. გარდა ამისა, გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ მშობლებს საქორწინო გვარი არ აქვთ, მაგრამ ისინი ბავშვზე ერთობლივად ზრუნავენ, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განცხადებით შვილის გვარად დგინდება გვარი, რომელიც განცხადების წარდგენის მომენტში დედას ან მამას აქვს, აღნიშნული განცხადება კი ოფიციალურად უნდა დამოწმდეს. თუ ბავშვის დაბადებიდან ერთი თვის განმავლობაში მშობლები არ იღებენ გადაწვეტილებას, საოჯახო საქმეთა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანიჭებს ერთ-ერთ მშობელს და უდგენს გადაწყვეტილების მიღების ვადას. თუ ვადის გასვლამდე გადაწყვეტილების მიღების უფლებას არ განახორციელებს, მაშინ ბავშვი იღებს იმ მშობლის გვარს, რომელსაც მიენიჭა გადაწყვეტილების უფლება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იმ საკითხსაც აწესრიგებს, ბავშვის გვარი რამდენად შეიძლება შეიცვალოს, თუ მშობლებმა ქორწინების გვარი შეიცვალეს. ასევე მშობლების ზრუნვის საკითხებიც ცალკე თავად არის გაწერილი „მშობლებს ეკისრებათ ვალდებულება და აქვთ უფლება, იზრუნონ არასრულწოვან შვილზე. მშობლის ზრუნვა მოიცავს ზრუნვას შვილის პიროვნებასა და მის ქონებაზე“.[18] პიროვნების ზრუნვაში იგულისხმება, ბავშვის აღზრდა, ფიზიკური სასჯელებისა და ფსიქიკური ტრამვების დაუშვებლობა, ბავშვის განათლებისა და პროფესიული საკითხების გადაწყვეტა.

[17] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 01 მარტი, §1591, §1592, §1600, http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf-უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 19.06.2021

[18] იქვე, §1626.

თავი III. მშობლების უფლება - მოვალეობების შინაარსი

3.1. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლები

პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ წარმოიშობა უფლება-ვალდებულებები შვილებსა და მშობლებს შორის. ქართული კანონმდებლობა საოჯახო სამართალში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, რომლის მიხედვითაც არეგულირებს შიდა სფეროებს. ქართული კანონმდებლობის მიხედვით მშობლები როგორც უფლებასმოლინი, ასევე ვალდებულნი არიან, რომ იზრუნონ შვილებზე, მაგრამ აღნიშნული საკითხი, ზოგჯერ მაინც გარკვეული პრობლემების წინაშე დგება.

მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას ბავშვის დაბადება იწვევს, როდესაც წყვილი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში ან/და სისხლით ნათესაობის დროს. კანონმდებლობის მიხედვით, დედისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობისთვის საკმარისია დედის მიერ ბავშვის დაბადება ანუ სისხლით ნათესაობა. მაგრამ მამისა და შვილის უფლება - მოვალეობების წარმოშობა სხვაგვარად რეგულირდება, ასეთ შემთხვევაში საჭიროა ქორწინების რეგისტრაცია და თუ წყვილი არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში ასეთ დროს მნიშვნელოვანია მამაკაცის აღიარება ბავშვის მამობის შესახებ ან სასამართლოს მიერ მამობის დადგენა. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობის მიხედვით, მშობლებისა და შვილების უფლება - მოვალეობების წარმოშობას საფუძვლად უდევს შვილების დაბადება. მოგეხსენებათ, საოჯახო სამართალი იცავს რეგისტრირებულ ქორწინებას, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი არის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისა და დაცვის გარანტია, როგორც მეუღლეებისთვის, ასევე მათი შვილების ინტერესებისთვის.

გერმანულ სამართალში მსგავსად არის მოწესრიგებული ბავშვის მამობის დადგენის საკითხი, მაგალითად, ბავშვის მამას წარმოადგენს მამაკაცი, რომელიც ბავშვის დაბადების მომენტში დაქორწინებულია ბავშვის დედასთან, ან რომელმაც ნებაყოფლობით აღიარა მამობა, ან

მამობა სასამართლო წესით არის დადგენილი.[19] საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც მნიშვნელობას ანიჭებს დაუქორწინებელი მშობლებისგან დაბადებული ბავშვის წარმოშობის საკითხს.[20]

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალი ცალკე აწესრიგებს ხელოვნური განაყოფიერების გზით გაჩენილი ბავშვის რეგისტრაციას. რ. შენგელია და ე. შენგელია „საჯახო და მემკვიდრეობით სამართლის წიგნში“ განმარტავენ, რომ „ხელოვნური განაყოფიერების დროს, ქალი დონორ მამაკაცს არ იცნობს, აქედან გამომდინარე, მათ შორის რაიმე შეთანხმება არ შეიძლება არსებობდეს. დონორის ვინაობის გაგებისას, ბავშვის მშობლებს უფლება არ აქვთ მოთხოვნა წაუყენონ მას მამობის თაობაზე, ასევე არც დონორს აქვს უფლება მოითხოვოს ბავშვის მამობის აღიარება. რაც შეეხება ხელოვნურად განაყოფიერებული ქალის ქმარს, ვინაიდან წინასწარ ჰქონდა გამოთქმული თანხმობა, არ აქვს უფლება უარი თქვას მამობაზე, რომ იგი არ არის ამ გზით გაჩენილი ბავშვის მამა“. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ზუსტად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისაც ენიჭება უფლება სადავო გახადო მშობლების შესახებ ჩანაწერი. აღნიშნული უფლება მხოლოდ დედას და მამას ეკუთვნის, წარმომადგენელსაც კი არ შეუძლია მისი განხორციელება.

ვინაიდან, ბავშვზე ზრუნვა და აღზრდა მშობლების მხრიდან თანაბარ უფლება - მოვალეობას გულისხმობს, სწორედ, აქედან გამომდინარეა, მნიშვნელოვანია მამობის დადგენა, როგორც ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთ-ერთი საშუალება. ამისათვის კი კანონმდებლობა მაქსიმალურად იყენებს ყველა ეფექტურ პროცედურას, ვინაიდან არ დაირღვეს როგორც ბავშვის, ასევე მშობლების უფლებები.

3.2 მშობლების უფლება - მოვალეობათა შეზღუდვა, შეჩერება ან შეწყვეტა

სამოქალაქო კოდექსი მშობლებს არასრულწლოვანი შვილების მიმართ საკმაოდ ვრცელ უფლება-მოვალებას აკისრებს. ისინი ვალდებულები არიან იზრუნონ შვილების ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე, აღზარდონ სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. მაგრამ არიან მშობლები, რომლებიც ამ უფლება - მოვალეობებს არჯეროვნად ასრულებენ,

[19] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 01 მარტი, §1592, http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf-უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 19.06.2021

[20] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1190.

რასაც ხშირად მშობლის უფლების ჩამორთმევამდეც მივყავართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვას, შეჩერებასა და ჩამორთმევას.

ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული კონვენციები და საერთაშორისო შეთანხმებები აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების გარანტიებს ქმნის მონაწილე სახელმწიფოებისთვის. მათ რიგებში მოიაზრება საქართველოც მისი დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან. ამას ადასტურებს საოჯახო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებიც, სადაც აღინიშნება საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკის პროგრესული ნორმებიც.

მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.[21] თუ ბავშვის ორივე მშობელს შეეზღუდება მშობლის უფლება - მოვალეობა, ასეთ დროს დგინდება ბავშვის მიმართ მეურვეობა და მზრუნველობა. რომან შენგელიას განმარტებით, „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და განხორციელების სფეროში სარგებლობს ფართო უფლებამოსილებებით, იგი თითქმის ბავშვთა ომბუდსმენის ფუნქციებს ასრულებს და შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს ამ მხრივ აუცილებელ ღონისძიებათა გატარების გადაწყვეტილება“.[22]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით,[23] მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერება გულისხმობს იმას, რომ მშობლებს არ აქვთ უფლება იყვნენ შვილების წამომადგენლები სასამართლოზე, სადაც განიხილება ბავშვის აღზრდის ან/და განქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის შესახებ საკითხები. ასევე, შეიძლება მშობელს შეუჩერდეს ყველა უფლება, თუ თანახმაა შვილის გაშვილებაზე. ან თუ ბავშვი ნაპოვნია და უცნობია მისი და მისი მშობლების ვინაობა და ადგილსამყოფელი, მშობლების უფლებები ჩერდება მანამ, სანამ მათი ვინაობა არ დადგინდება. „მშობლების უფლება - მოვალეობათა შეჩერება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას ხდება, ხოლო მისი აღდგენა - მაშინ, როცა მოისპობა შეჩერების საფუძვლები. თუ ორივე მშობელს შეუჩერდა მშობლის უფლება - მოვალეობანი, ბავშვის მიმართ დაწესდება მეურვეობა და მზრუნველობა.“ [24]

---

[21] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1205.

[22] რ. შენგელია, ე.შენგელია - „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.177

[23] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1205[1]

[24] რ. შენგელია, ე.შენგელია - „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.179

რაც შეეხება მშობლების უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევას, ეს არის უკიდურესი ზომა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით. მშობელს ყველა უფლება - მოვალეობა ჩამოერთმევა თუ სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას; არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს - ბავშვს უხეშად ექცევა ან მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით; თუ მშობელი ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია; თუ ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში; ან თუ შვილი მიტოვებულად არის აღიარებული.[25]

მშობლის უფლება - მოვალეობების ჩამორთმევით პირი კარგავს შვილის მიმართ ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას. მიუხედავად ამისა, შვილი, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება - მოვალეობები, ინარჩუნებს ამ მშობლის მიმართ ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებს, მათ შორის მემკვიდრეობის მიღების უფლებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ბავშვი, რომლის მშოლებსაც ჩამოერთვა მშობლის უფლებები, უნდა იქნეს შვილად აყვანილი ან უნდა დაენიშნოს მეურვე/მზრუნველი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს მიერ ამ უფლებების შეზღუდვა დამოკიდებულია მხარის მიერ სათანადო სარჩელისა და მტკიცებულებების წარდგენაზე. უკვე არსებული პრაქტიკის მიხედვით, მშობლის უფლებების შეზღუდვა უმეტეს შემთხვევაში დაკმაყოფილდა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლოს არ აქვს წინასწარ დადგენილი რაიმე რეგულაციები, რომელსაც უნდა მოარგოს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებები. შესაბამისად მნიშვნელოვანია სწორად იქნეს ამ უფლებების ფარგლები გაანალიზებული და ყოველთვის გათვალისწინებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

3.3 მშობლების პირადი უფლება - მოვალეობანი

გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახი არის პირველი სოციალური სამყარო, სადაც ბავშვი არსებობასა და განვითარებას იწყებს, შესაბამისად დიდი როლი აქვს ოჯახში აღზრდის წესებს, მშობლების დამოკიდებულებას შვილის მიმართ. საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი და საკმაოდ პრობლემური საკითხია შვილის აღზრდის საკითხები. მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ შვილები, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, სულიერ და ზნეობრივ

[25] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1206.

განვითარებაზე. აგრესიული ბავშვები ძირითადად იზრდებიან ისეთ ოჯახებში, სადაც უგულებელყოფილია მათი ინტერესები, პრობლემები, აქვთ მშობლებისგან მხარდაჭერისა და მზრუნველობის ნაკლებობა.

ვეთანხმები რ. შენგელიასა და ე. შენგელიას მოსაზრებას წიგნიდან „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“[26] რომ შვილების აღზრდის პროცესში აუცილებელია მათი ინტერესები იქნეს გათვალისიწნებული. შვილების აღზრდის პროცესში სრულად უნდა განხორციელდეს მათი განათლების მიღების უფლება, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბავშვის პიროვნების, გონებრივი და ფიზიკური უნარის განვითარება. ამ უფლების რეალიზება მშობლებთან ერთად სახელმწიფოსაც ეკისრება. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფასო და სავალდებულო დაწყებით და საშუალო განათლება, უმაღლესი განათლების, სხვადასხვა სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობა. განათლების მიღება წარმოადგენს იმ უმთავრეს საფუძველს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოებაში კუთვნილი ადგილის დამკვიდრება.

ბავშვის აღზრდას სოციალური ფუნქცია ენიჭება, ვინაიდან მშობელმა უნდა აღზარდოს შვილი საზოგადოების ახალ წევრად, შესაბამისად, ეს საკითხი საზოგადოებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება, იქნება თუ არა მისი უფლებები დაცული და რამდენად იქნება სრუფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების წევრი. სახელმწიფო თითოეულ მოქალაქეზე იღებს პასუხისმგებლობას. მოგეხსენებათ, საზოგადოებას წევრები ოჯახებიდან უერთდებიან, შემდგომ ისინი იძენენ დამატებით ვალდებულებებს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ამიტომაც მნიშვნელოვანია ოჯახში ბავშვი სწორად აღიზარდოს, ვინაიდან მომავალი საზოგადოების წევრია, რომელსაც თავისი უფლება-მოვალეობები გააჩნია. შვილის აღზრდა მშობლისგან მუდმივად ზრუნვასა და ყურადღებას ითხოვს, რაც საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა. მეორე მხრივ, სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი ოჯახებს, რათა ბავშვის საუკეთესო ინტერესები იყოს დაცული და გათვალისწინებული. სამწუხაროდ, დღევანედლ ჩვენს საზოგადოებაში ოჯახის ინსტიტუტის დამახინჯებულ ფორმას ვიღებთ, სადაც მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა გაციებულია და პასუხისმგებლობებიც თითქმის გაუაზრებელი.

ბავშვის აღზრდის ძირითადი მიმართულებები ბავშვთა უფლებების კონვენციიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი

[26] რ. შენგელია, ე.შენგელია - „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ:169

პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია."[27]

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი საინტერესო საქმეა *Sahin v. Germany.*[28] პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ დედამ აკრძალა ყოველგვარი კონტაქტი თავის ოთხი წლის ქალიშვილსა და ბავშვის მამას შორის. გერმანიის ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვისთვის მამასთან კონტაქტი და ნახვის უფლება საზიანო იქნებოდა, მშობლების დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გამოიტანა ბავშვის აზრის მოსმენის გარეშე. სასამართლოში ბავშვის მოსმენასთან დაკავშირებულ საკითხს ევროპულმა სასამართლომ ექსპერტის გაკეთებული დასკვნა მიუთითა, რომელიც აღნიშნავს, რომ ბავშვის გამოკითხვის პროცესი შესაძლოა მისთვის საზიანო ყოფილიყო, რომელსაც სასამართლო ვერ აიცილებდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ გულისხმობს იმას, რომ ბავშვის სასამართლოში მოსმენა ყოველთვის სავალდებულოა. ეროვნულმა სასამართლოებმა ფაქტორბივი მდგომარეობის საფუძველზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, შესაბამისად ეროვნული სასამართლო ყოველთვის არ არის ვალდებული მოუსმინოს ბავშვს მშობელთან ურთიერთობის განხილვის დროს, რომელსაც არ გააჩნია სამეურვეო უფლებები. აღნიშნული საქმე ნათელი მაგალითია, რომ სასამართლო მაქსიმალურად უნდა იყოს მოტივირებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ. მათ რომ არ გაეთვალისწინებინათ ბავშვის ასაკი და სასამართლოზე მოესმინათ მისი აზრი იმ მშობელთან დაკავშირებით, რომელიც პასუხისმგებლობებს ირიდებდა თავიდანვე, შესაძლოა არასრულწლოვნის გაუაზრებელმა ჩვენებას ზიანი მოეტანა მისი მომავლისთვის, რომელიც მამასთან კონტაქტში მოიაზრებოდა.

გარდა ამისა, აღზრდა ხელს უნდა უწყობდეს, რომ ბავშვი ჩამოყალიბდეს ტოლერანტულ პიროვნებად, რომელიც ადამიანის უფლებებს, ძირითად თავისუფლებებსა და პრინციპებს პატივს სცემს. აღზრდა უნდა იყოს მიმართული გარემოსა და საზოგადოების მიმართ პატივისცემის, საკუთარი ღირსებისა და იდენტობის ჩამოყალიბებისკენ, რაც ბავშვს დაეხმარება მომავალში თავი დაიმკვიდროს საზოგადოების წევრად. ყოველივე ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ მშობლებს არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაც გააჩნიათ შვილის აღზრდის პროცესში. ხოლო ბავშვის

---

[27] ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული 1989 წელი 20 ნოემბერი, მუხლი 18.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Sahin v. Germany* [დიდი პალატა], No. 30943/96, 2003 წლის 8 ივლისი, პარაგ. 73.

უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევენ მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს ბავშვის აღზრდის პროცესში.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, აზღარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.[29] ბოლო პერიოდში მოიმატა ისეთმა პრობლემებმა, როგორიცაა სააღმზრდელო ვალდებულებების გადანაწილება ოჯახში. თითოეულმა მშობელმა თანაბრად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ბავშვის მოვლაზე. ძირითადად, ქორწინებაში ფინანსური საკითხები ჰქმნის შემდგომ არსებულ პრობლემებს. სამწუხაროდ, განქორწინების დროს მხოლოდ ძირითადი ეკონომიკური მდგომარეობის გაყოფა ხდება, ფინანსური სახსრების გადანაწილება, ხოლო შვილის აღზრდისთვის საჭირო რესურსებზე, დროსა და პასუხისმგებლობებზე თითქმის არავინ საუბრობს. მოგეხსენებათ, რომ განქორწინების შედეგად, ხშირ შემთხვევაში, ბავშვები მეტად ზარალდებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია ორივე მშობლის სტატუსის ბალანსის შენარჩუნება, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მორალური. ვინაიდან მშობლებს ბავშვის აღზრდაზე თანასწორი უფლება-მოვალეობანი აქვთ, შესაბამისად აღზრდასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

3.3.1 ბავშვის აღზრდის საკითხები მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების დროს

პრაქტიკას თუ გადაავლებთ თვალს იშვიათად შეხვდებით ისეთ ფაქტს, როდესაც მშობლების თანაცხოვრებისას შვილების აღზრდასთან დაკავშირებული ისეთი დავები იყოს, რომელთა გადაწყვეტა სასამართლოში ხდება, ძირითადად მსგავსი დავები წარმოიშობა მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებისას. ასეთი პრობლემებისას, უმნიშვნელოვანესია ბავშვის სტაბილური და მშვიდი საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხი საკმაოდ რთული და პრობლემურია, მაშინ როდესაც მშობლები ამ საკითხზე ვერ თანხმდებიან და სასამართლოს უწევს ამ დავის მოგვარება. სასამართლო ყოველთვის ცდილობს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იხელმძღვანელოს, შესაბამისად ითვალისწინებს ბავშვის დამოკიდებულებასაც

[29] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1198.

მშობლების მიმართ, ამ უკანასკნელთა ზნეობრივ და სხვა თვისებებსაც ითვალისწინებს. აუცილებელია, მშობლების საქმიანობა, ბავშვის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, რაც შემდგომში მის განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთი დავების განხილვისას აუცილებლად მონაწილეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოც. მათ ევალებათ საცხოვრებელი პირობების გამოკვლევა როგორც ბავშვის, ასევე იმ პირების, რომლებიც აღზრდაზე აცხადებენ პრეტენზიას. სამწუხაროდ, პრაქტიკაში არაერთი შეცდომაა სასამართლოს მხრიდან, როდესაც მსგავსი დავების განხილვისას ბავშვისა და მშობლების საცხოვრებელი პირობების გამოკვლევის აქტების და დასკვნების გარეშე გამოუტანიათ გადაწყვეტილება. ამგვარი დავების განხილვისას სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს : მშობლების ობიექტური შესაძლებლობები, რათა შეუქმნან შვილებს სრულყოფილი განვითარებისთვის პირობები; მშობლების სუბიექტური შესაძლებლობები, რაც მათი უფლება-მოვალეობების სწორ აღქმაში ვლინდება; ბავშვის სუბიექტური დამოკიდებულება მშობლების მიმართ, რადგანაც ვსაუბობთ ბავშვი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე, შესაბამისად მის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. კანონმდებლობა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ დავისას უპირატესად უნდა აყენებდეს ბავშვის განწყობას, მის დამოკიდებულებას მშობლებისა და ოჯახის წევრების მიმართ. მნიშვნელოვანია მათი პიროვნული თვისებებიც. სასამართლო პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი რიგრიგობით განუსაზღვრავს, ხან მამასთან იქნებოდა, ხან - დედასთან. რა თქმა უნდა, მსგავსი გარემოება, ბავშვის აზღრდასა და განვითარებას ყველანაირად შეუშლის ხელს, ამრიგად , მსგავსგი გადაწყვეტილებები შეგვიძლია უსამართლოდაც კი მივიჩნიოთ.

პრაქტიკაში ერთ-ერთი ასეთი პრობლემური საქმეა N2/158-19[30], რომლის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2008 წლის 14 ივნისიდან რეგსიტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა წყვილი, რომელსაც 2010 წლის 05 ივლისს შეეძინათ შვილი. 2014 წლიდან ცხოვრობდნენ ბინაში, რომელიც ფორმალურად არ გადაფორმდა მამის სახელზე, მაგრამ სარგებლობაში იყო გენერალური მინდობილობის საფუძველზე. 2016 წლიდან საცხოვრებლად გადავიდნენ ბინაში, რომელიც მამამ წინასწარი განზრახვით გააფორმა დედამისის ანუ ბავშვის ბებიის სახელზე, რათა შემდგომში დედასა და ბავშვს არ ჰქონოდათ ქონებაზე პრეტენზია (აღნიშნულს მიმოწერით ადასტურებს ბავშვის მამა, რომ შეგნებულად არ იფორმებდა ქონებებს). 2018 წლის 07 დეკემბერს ბავშვის მშობლების დაშორების შემდეგ, ბებიამ ბინის საკეტი შეცვალა და ბავშვი დედასთან ერთად

[30] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეა კოლეგია, გადაწყვეტილება N2/158-19, 2019 წელი 19 მარტი.

დატოვა ქუჩაში, რის გამოც საქმეში ჩაერთო საპატრულო პოლიცია და სოციალური მუშაკი, რომელთა დახმარებითაც ბინაში დაბრუნება შეძლეს. ამის შემდეგ 2019 წლის იანვარში ბავშვის ბებიამ და მამამ მიმართეს სასამართლოს დედის ბინიდან გამოსახლების თაობაზე, რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის ბინიდან გამოსახლებაც. 2019 წლის 19 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც დაკმაყოფილდა ბებიის მოთხოვნა ბინიდან გამოსახლების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ბებიამ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა გამოსახლების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ბებიამ მოითხოვა ბავშვის დედის ბინიდან გამოსახლება, მაინც რთულ მდგომარეობაშია ამ შემთხვევაში ბავშვი, რომლის ინტერესებიც უგულვებელყოფილი დარჩა. ვინაიდან დედისგარეშე ვერ იცხოვრებს, გარდა ამისა, გამოსახლების მომენტში არ გაუთვალისწინებიათ თუ როგორ მორალური და ფსიქიკური ტრამვა მიადგებოდა ბავშვს. არ ყოფილა საუბარი და ალტერნატიული შეთავაზება იმისა, თუ სად იცხოვრებდა ბავშვი და ვისთან განისაზღვრებოდა მისი საცხოვრებელი ადგილი. სასამართლომ უპირატესობა საკუთრების უფლებას მიანიჭა, ხოლო ბავშვის უფლებები უგულებელყო. არანაირი მიზეზი არ არსებობდა იმისა, რომ ბავშვი დედასთან დაეშორებინათ, არც სხვა ალტერნატიულ საკითხებზე იყო საუბარი, შესაბამისად ბავშვიც და დედაც ელოდებიან გამოსახლებას.

მას შემდეგ რაც 2020 წლის 01 სექტემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მასში არსებული 75-ე მუხლის მიხედვით ბავშვს უფლება მიეცა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ან ქმედების გასაჩივრების გზით. გარდა ამისა, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან ქმედების განხორციელებისას.[31] ზემოთ აღნიშნულმა ბავშმა, რომელსაც ბებია ასახლებს სახლიდან, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ დავაზე თავისი სახელით შეიტანა სასამართლოში სარჩელი, რომელიც მიღებული იქნა წარმოებაში. ასევე შუამდგომლობა იქნა დაყენებული სსიპ

[31] საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2019 წელი 20 სექტემბერი, მუხლი 5 და მუხლი 75.

თბილისი აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებლო საქმის წარმოების შეჩერება (ბინის გამოთავისუფლება).

მსგავსი ფაქტები პრაქტიკაში ძალიან ბევრია, როდესაც საცხოვრებლის განსაზღვრისას ბავშვის ინტერესები ილახება. პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ ერთ-ერთი მშობელი ცალსახად თავს არიდებს თავის უფლება-მოვალეობებს ბავშვის აღზრდის პროცესში. ვიმედოვნებ, აღნიშნული საქმისწარმოება დასრულდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შემდგომში დაინერგება ახალი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც არავის ექნება უფლება ბოროტად გამოიყენოს საკუთრების უფლება და დატოვოს ბავშვი საცხოვრებლის გარეშე.

როდესაც კანონმდებლობა აკეთებს მითითებას, რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს ჰარმონიულ გარემოში, სადაც ყველანაირი რესურსი იქნება გამოყენებული მისი პიროვნული ჩამოყალიბებისთვის, მაშინ მსგავსი სამართლებრივი პრაქტიკის ხარვეზები მაქსიმალურად უნდა გამოსწორდეს. თეორიულად მარტივად ჟღერს, რომ ბავშვისთვის უმჯობესია, როდესაც მშობლები თანამშრომლობენ მის აღზრდაში, მაგრამ ყველა მშობელს არ შეუძლიათ ერთობლივად ზრუნვა. ასეთ დროს პრაქტიკებს თუ გადავხედავთ შეგვიძლია სკეპტიკურად განვეწყოთ, ვინაიდან უპირველესად ყოველთვის დგინდება თუ რომელ მშობელს უნდა მიენიჭოს უპირატესი უფლება შვილის აღზრდაში, შესაბამისად ერთობლივად ზრუნვის მომენტები ნაკლებად განიხილება ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ვსაუბრობთ პრაქტიკაში მაინც გარკვეული საკითხები პრობლემურად რჩება. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ კონტროლდება აღსრულების მექანიზმები, მაგალითად, თუ ბავშვს ორივე მშობელთან უნდა ცხოვრება, ან თუ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი და მამასთან დარჩენის დღეებიც დადგინდა, მაგრამ ბავშვს არ უნდა მასთან დარჩენა, ასეთი აღსრულების მექანიზმების განხორციელებისას ფსიქოლოგები თითქმის არ ინტერესდებიან და არ არკვევენ ბავშვის დამოკიდებულების მიზეზებს.

მაგრამ საქმე როდესაც დგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე, უდავოდ, პირველ რიგში, ეს უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. ჰააგის კონვენციის „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანაშრომლობის შესახებ“[32] პრეამბულაშია აღნიშნული, რომ „სახლემწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინამდებარე

[32] ჰააგის კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანაშრომლობის შესახებ“ - 1996 წლის 19 ოქტომბერი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2759259?publication=0- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 19.06.2021.

კონვენციას, აღიარებენ რა საერთაშორისო შემთხვევებში ბავშვთა დაცვის სრულყოფის აუცილებლობას, ადასტურებენ, რომ, პირველ რიგში, ყურადრება უნდა მიექცეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“.

სადავოა ის ფაქტი, თუ რა იგულისხმება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, ვინაიდან ფართო ცნებაა და შესაძლებელია ბევრ საკითხთან ვერ მოდიოდეს თანხვედრაში. მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ აღზრდის პროცესზე, შესაბამისად მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული თითოეული პასუხისმგებლობა და ვალდებულება მშობლების მხრიდან. „ბავშვის ინტერესი არ უნდა დაიყვანებოდეს მხოლოდ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებამდე. ბავშვის ინტერესი არ შემოიფარგლება კარგი საყოფაცხოვრებო პირობებით, ისინი იმ სხვა გადამწყვეტ ფაქტორებს გულისხმობენ, რომელნიც უზრუნველყოფენ ბავშვის სწორ იდეოლოგიურ და ფიზიკურ აღზრდას, მის მომზადებას საზოგადოებრივ საქმიანობისთვის“.[33] იმის გამო, რომ შეიძლება ბავშვს მამასთან მატერიალური-საყოფაცხოვრებო პირობები უმჯობესი ჰქონდეს, ვიდრე დედასთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად მამას უნდა მიაკუთვნონ შვილი, ვინაიდან, უპირველესად მნიშვნელოვანია, რომელი მეტად სწორ აღმზრდელობით ღონისძიებებს გაატარებს მის მიმართ და მისცემს ყველანაირ რესურს რომ აღიზარდოს სრუფასოვან პიროვნებად.

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე სამოქალაქო კოდექსმა ბავშვის სუაკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გარკვეული ცვლილებები განიცადა. მაგალითად, ბავშვის საკუთრებაში არსებული 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავ ნივთს მისი მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები ვერ განკარგავენ სასამართლოს თანხმობის გარეშე.[34] გარდა ამისა, ერთ-ერთი ასეთი ცვლილებად შეგვიძლია მოვიყვანოთ არასრულწლოვნის ანაბარზე არსებული თანხის განკარგვის საკითხი. ზოგადად საბავშვო ანაბარი არის იგივე ვადიანი ანაბარი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი მიზანია ბავშვის სახელზე თანხის დაზოგვა. აქედან გამომდინარე, მეანაბრე არის არასრულწლოვანი და განმკარგავი შეიძლება იყოს ნებისმიერი კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც გახსნა მეანაბრის სასარგებლოდ ანაბარი, განათავსებს და განკარგავს აღნიშნულს ქონებას ბავშვის სრუწლოვნებამდე. 2020 წლის 01 სექტემბრიდან მას შემდეგ რაც საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი ამოქმედდა, სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით არასრულწოვნის ანაბარზე არსებული თანხის განკარგვა მშობელს შეეძლება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით. მრავალი მოსაზრება ითქვა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, ისიც კი ივარაუდეს, რომ

[33] შ. ჩიკვაშვილი - „საოჯახო სამართალი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2004, გვ: 107
[34] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი მუხლი 186.

აღნიშნული ცვლილება განქორწინების მაჩვენებლის ზრდას უკავშირდებაო. მაგრამ ფაქტობრივად, რომ დავუკვირდეთ აღნიშნული ცვლილება, ერთი მხრივ, კი ზღუდავს მშობლის უფლებებს, თუმცა, მეორე მხრივ, ბავშვის უფლებების დაცვისკენ არის მიმართული. არაერთი ფაქტია, როდესაც განქორწინების შედეგად ბავშვები ზარალდებიან არამხოლოდ მორალურად, არამედ ეკონომიკურადაც, შესაბამისად თუ დავუფიქრდებით ამ საკითხს შეგვიძლია მივიჩნიოთ ე.წ პრევენციის ზომად, რომელიც მსგავს სიტუაციებში ბავშვს იცავს შემდგომი პრობლემებისგან, რომელიც ანაბრის სარგებლობაზე შეზღუდვების დაწესებით შეგვიძლია განვახორციელოთ. კანონი არამიზნობრივ ხარჯვის შესაძლებლობას უზღუდავს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს, რაც სამომავლოდ ბავშვის უფლებათა სასარგებლოდ პრევენციულ ღონისძიებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვი შეზღუდული ქმედითუნარიანია და ასაკიდან გამომდინარე არ შეუძლია სწორი გადაწყვეტილებების მიღება, ამით ბოროტად არ უნდა ისარგებლონ მეურვეებმა და მისი კუთვნილი ქონება არ უნდა დახარჯონ, შესაბამისად გამართლებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ აღნიშნული ცვლილება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლიათ მშობლებს შვილების ქონების განკარგვა.

თავი IV. ოჯახური აღზრდის ალტერნატიული საშუალებები

4.1 არასრულწლოვანთა სოციალური პრობლემები და მათი აღზრდის ალტერნატიული საშუალებები

არასრულწლოვნების აღზრდა, მათზე ზრუნვა და მინიმალური ყოფითი პირობების შექმნა, სახელმწიფოს მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. მართალია, ბავშვების ფიზიკური და გონებრივი განვითარება მშობლების უფლება-მოვალეობაა, მაგრამ მხოლოდ მათ არ ეკუთვნით, იგი სახელმწიფოსა და საზოგადოების უფლება-მოვალეობაც არის. აქედან გამომდინარე, როდესაც ბავშვის აღზრდაზე ვსაუბრობთ, სახელმწიფოს ვალდებულებაშიც შედის, რათა შემდგომში კარგად განვითარებული საზოგადოების წევრები ჰყავდეს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტს ბოლო დროს განსაკუთრებული ადგილი უკავია სამართალში. მეურვეობა და მზრუნველობა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვას ისეთი მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც სპეციალური სამართლებრივი მხარდაჭერა სჭირდებათ.

მეურვეობისა და მზრუნველობის მთავარი დანიშნულებაა მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა, რომელთაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა.[35] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მეურვეობა წესდება შვიდ წლამდე ასაკის ბავშვზე, ხოლო მზრუნველობა წესდება შვიდი წლიდან თვარმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანზე.[36]

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ცდილობს ოჯახურ გარემოს მოკლებულ ბავშვებს დიდი ყურადღება დაუთმოს და ალტერნატიული აღზრდის ფორმები განავითაროს, მაინც ხშირად ვდგებით გარკვეული პრობლემების წინაშე, მაგალითად ერთ-ერთი მათგანია სოციალური ობლობა. საქართველოს კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა

[35] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.220

[36] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი,მუხლი 1277.

შვილობილად აყვანის შესახებ“[37] ტერმინს სოციალური ობოლები განმარტავს, როგორც „სოციალურ - დემოგრაფიული პირობების გამო მშობელთა მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა განსაკუთრებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი 18 წლის ასაკამდე, ე.ი ობლები, რომლებსაც სინამდვილეში ჰყავთ მშობლები“. სოციალური ობლობა გამოწვეულია მშობლების მიერ უფლება-მოვალეობების თავიდან არიდებით და შვილების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კანონი ბავშვს, რომლის მშობლებიც დაკარგულად ან გარდაცვლილად არიან მიჩნეულნი, ობოლს უწოდებს და აგრეთვე იმ ბავშვსაც, რომელიც მშობლების მზრუნველობის გარეშეა დარჩენილი.

თავიდან დავიწყოთ იმის განხილვა, თუ როგორ მივედით „სოციალური ობლობის“ საკითხის აქტუალურობამდე. მოგეხსენებათ, აღნიშნული პრობლემა პირდაპირ ეხება არასრულწლოვანთა ცხოვრების წესსა და აღზრდის საკითხებს. ამ ტერმინის გამოყენება აქტუალური გახდა მაშინ, როდესაც მშობლებმა თქვეს უარი პასუხისმგებლობებზე და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს მოუწიათ ამ პრობლემების მოგვარება. ამ პრობლემის მიზეზი მრავალია, მშობლების უპასუხისმგებლობას, სახელმწიფოს დაბალი ეკონომიკური მდგომარეობაც ახლავს თან. არასაკმარისი მატერიალური მდგომარეობისას კი შვილებს ზედმეტ ტვირთად აღიქვამენ მშობლები და უწევთ ამგვარი ნაბიჯების გადადგმა.

დღესდღეობით სოციალური ობლობა საკმაოდ აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში და ბევრი სპეციალიზებული დაწესებულებაც გვაქვს ასეთი არასრულწლოვნებისთვის, მაგალითად, სკოლა-პანსიონები და ბავშვთა სახლები, სადაც თვრამეტ წლამდე შეუძლიათ დარჩენა. ასევე არსებობს ოჯახის ალტერნატიული ფორმები, ე.წ მინდობით აღზრდილ ოჯახებში განთავსება. მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანო არის ძირითადი უწყება, რომელიც სოციალურ მუშაობას ეწევა. სოციალური ობლობის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან პრაქტიკაში შესაძლოა მრავალ ხარვეზს წავაწყდეთ და სამართლებრივად ყველა საკითხი ვერ მოვაგვაროთ. მაგალითად, ძალიან ხშირად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების სოციალური მუშაკები დედას აშორებენ შვილს მხოლოდ იმის გამო, რომ მატერიალურად უჭირთ და არ აქვთ ბავშვის აღზრდისთვის საჭირო რესურსები. ერთი მხრივ, მათი მოტივაციაა ბავშვის კეთილდღეობა და, მეორე მხრივ, ვერ იაზრებენ, რომ დედისგან მოშორებით ბავშვი მეტად დაითრგუნება და მის სულიერ მდგომარეობას მიაყენებენ ზიანს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი შვილებისა და დედების კეთილდღეობა. კარგი იქნება თუ მოეწყობა პატარა

[37] საქართველოს კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 1999 წლის 22 ივნისი.

საოჯახო ტიპის სახლები მზრუნველობასმოკლებული პირებისთვის, სადაც ბავშვები იცხოვრებენ ბიოლოგიურ მშობელთან ერთად, შესაბამისად, სახელმწიფო უფრო მეტად მიაღწევს შედეგს და მზრუნველობამოკლებული ბავშვების რიცხვიც იკლებს.

მაგალითად, მსგავს საკითხზე საერთაშორისო პრაქტიკაში არის ერთ-ერთი საქმე *R.M.S v. Spain*[38], სადაც მთავარი პრობლემა იყო, ის რომ განმცხადებლის თქმით მას ყოველგვარი კონტაქტი აეკრძალა თავის 3 წლისა და 10 თვის ქალიშვილთან, მშობლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ კი მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლი დაირღვა და აღნიშნა, რომ ესპანეთის ხელისუფლებას ბავშვის დროებით მზრუნველობის განმახორციელებელ ორგანოში განთავსების მაგივრად ნაკლებად ზიანის მომტანი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. ამ ინსტიტუტების არსებობის მთავარი მიზანი სწორედ რთულ ვითარებაში მყოფი პირების დახმარებაა. სასამართლოს განმარტებით სახელწმიფომ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ტიპის სოციალური პროგრამების მეშვეობით საცხოვრებელის მიღების შესაძლებლობები და მათი მატერიალური დამხარებები. აქედან გამომდინარე, ესპანეთის სახელმწიფომ ვერ შეძლო დაეცვა განმცხადებლის უფლება,რ ომ ეცხოვრა საკუთარ შვილთან ერთად.

აღნიშნული საქმე ყველა იმ სახელმწიფოსთვის, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან, შეიძლება გამოდგეს ორიენტირად.

გარდა ამ საკითხებისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური ობლების რიგებში შედიან ე.წ ფარული ობლებიც, სადაც იგულისხმებიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც ოფიციალურად ჰყავთ მშობლები, ერთი შეხედვით არ აკლიათ მზრუნველობა, მაგრამ არ აღიზრდებიან სრულფასოვნად, ვინაიდან მათთან მცხოვრები უფროსებისგან იღებენ გულგრილობას და უყურადღებობას. ეს კიდევ მეტად რთული შემთხვევაა და ამიტომაც ძნელია სრულად აღმოფხვრა სოციალური ობლობის საკითხი. აღნიშნულის მიზეზად ოჯახური ინსტიტუტის კრიზისიც შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვინაიდან ბოლო დროს ბევრია განქორწინებულ ოჯახთა რაოდენობა და ასევე უკანონო შვილების რიცხვმაც იმატა. მაგალითად, სტატისტიკის მიხედვით 2020 წელს განქორწინებათა რაოდენობა ერთეულებში შეადგენდა 7643, საიდანაც 2477 ქორწინებიდან ოთხ წელში განქორწინდა.[39] ეს ყველაფერი კი შემდგომში ბავშვის აღზრდაზე ისახება.

---

[38] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *R.M.S. v. Spain*, No. 28775/12, 2013 წლის 18 ივნისი.

[39] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba- უკანასკნელად გადამოწმებული იქნა - 19.06.2021

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ევროკავშირის დახმარებით ჩატარდა კვლევა „ქუჩაში მხცოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში“, რომლის ანგარიშიც დაიწერა. კვლევის მთავარი სამიზნე ჯგუფები იყვნენ ბავშვები, მშობლები, ოჯახები და სოციალური მუშაკები, რომლებიც ამგვარი პრობლემების მოგვარებაში აქტიურად არიან ჩართულნი.

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვები ქვეკატეგორიებად დაიყო, რომელთაც ჰქონდათ თუ არა მშობლებთან კონტაქტი. კვლევებმა აჩვენა, რომ არასრულწლოვნები რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ თან არ ახლავთ მშობლები, მაგრამ ზოგჯერ აქვთ მათთან კონტაქტი. ხოლო არასრულწლოვნები, რომლებიც დასაძინებლად სახლში მიდიან, მაგრამ დღეების დიდ ნაწილს ქუჩაში მუშაობას უთმობენ, ასეთი ბავშვები მშობლების მიერ საკვებით არიან უზრუნველყოფილნი, თუმცა ოჯახის შემოსავალში თავიანთ წვლილიც შეაქვთ. კიდევ ერთი ქვეკატეგორია იყო ე.წ „ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვები“, რომლებიც ქუჩაში მუშაობენ უფროსებთან ერთად, მაგრამ იქ არ სძინავთ, განსხვავებით უსახლკარო ოჯახების ბავშვებისა.[40]

ასეთი აღზრდასა და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების კატეგორიასთან კიდევ ერთი უდიდესი პრობლემა იჩენს თავს. ზოგიერთი ბავშვი ასაკის მატებასთან ერთად უფროსების გარეშე იმყოფებიან ქუჩაში, რომლებიც შემდგომში გარკვეულ ჯგუფს ჰქმნიან, აქვთ თავისი წესები და ურთიერთდამოკიდებულება, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბევრი ვერც აღწევს თავს ქუჩას და კრიმინალურ საქმიანობებში ებმევა.[41] კვლევების დროს ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნებამდეც, რომ ამ კატეგორიის ბავშვები ძალიან ხშირად არიან ნარკოტიკული თრობის ქვეშ, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი და მრავალი ფსიქოლოგიური ტრამვის ქვეშ.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ კვლევის ჩატარებისას დაადგინეს ძირითადი ფაქტორები, თუ რატომ ხვდებიან არასრულწლოვნები ქუჩაში:

1. მშობელთა სიღარიბე და მათ დასახმარებლად ბავშვების სხვადახვა აქტივობაში ჩართვა;
2. მშობლების იძულებითი მიგრაცია და საარსებო საშუალებების მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები;
3. მშობლის გარდაცვალება, დაპატიმრება, ავადმყოფობა, ნარკომანია და ა.შ, რაც იწვევს ბავშვზე ზრუნვის უგულვებელყოფას;
4. ოჯახში ფიზიკური და ფსიქოლოგიურ ძალადობა;

[40] გაეროს ბავშვთა ფონდი, „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში“, თბ. 2018, გვ: 12 ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.pdf

[41] იქვე ,გვ: 13

5. მკაცრი დისციპლინა, რაც ხშირად ხდება არასრულწლოვანთა სკოლა-პანსიონებიდან და ბავშვთა სახლებიდან გაპარვის მიზეზი, მათ ქუჩაში ცხოვრება ურჩევნიათ ზედმეტად მკაცრს წესებს. [42]

თითოეულის ანალიზი, რომ გავაკეთოთ ცალსახად ჩანს, რომ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლები ირღვევა. მივდივართ იმ საკითხამდე თუ რა შეიძლება სახელმწიფომ მოიმოქმედოს, რომ თავიდან აირიდოს მსგავსი პრობლემები. პირველ რიგში, აუცილებელია ნაკლებად მკაცრი წესების შემუშავება სკოლა-პანსიონებში, ბავშვთა სახლებსა და მინდობით აღმზრდელ ოჯახებში. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ფსიქოლოგიის ინსტიტუტს სკეპტიკურად უყურებენ და ნაკლებად სცემენ პატივს, შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან ფსიქოლოგიური კონსულტაციები რომ დაენიშნოთ ასეთ მშობლებს, შედეგზე ვერ გავალთ, ვინაიდან ძალიან ბერვი მათგანი უარს იტყვის თანამშრომლობაზე. შესაბამისად, პირველ რიგში, ამ ინსტიტუტის განვითარებასა და ასევე სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ. ბავშვები, რომლებიც შეიძლება ფარულ ობლებად იყვნენ მიჩნეულნი, მათი მშობლების მიმართ შესაძლებელია გარკვეული სანქციების და სასჯელის დანიშვნა. გარდა ამისა, რომ არ მოხდეს მოზარდთა ქუჩაში ცხოვრებისკენ კიდევ მეტად წახალისება და მათი კრიმინალურ საქმიანობაში ჩაბმა, 14 წლის ასაკზე უმცროსი ბავშვებიც დანაშაულის ჩადენისთვის უნდა მიეცნენ პასუხისგებაში მსუბუქი ფორმებით და უნდა მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება ანუ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვა. სახელმწიფო კიდევ მეტად აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ საკითხის მოგვარებაში, უნდა გაზარდოს ეკონომიკური მხარდაჭერა მშობლების მიმართ, დაეხმაროს მათ სამსახურის მოძიებაში და პრიორიტეტი მიანიჭოს უსახლკარო ოჯახების დასაქმებას, რათა შეძლონ მათ პასუხისმგებლობების აღება და შვილის აღზრდისას მინიმალური ყოფის დაკმაყოფილება.

4.2 მინდობით აღზრდის დროს უფლება - მოვალეობანი

მას შემდეგ რაც სახელმწიფომ აქტიური ზრუნვა დაიწყო ოჯახურ გარემოს მოკლებულ ბავშვებზე და მათი ალტერნატიული ზრუნვის განვითარებაზე, წინა ფლანგზე გადმოინაცვლა მინდობით აღზრდამ, რომელიც ბავშვისთვის ოჯახის ჩანაცვლების საუკეთესო გზად მიიჩნევა. „მინდობით აღზრდა ანუ შვილობილობა, იმაში მდგომარეობს,რომ სახელმწიფოსა და ცალკეულ

[42] გაეროს ბავშვთა ფონდი, „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში“, თბ. 2018, გვ: 15

ოჯახებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხდება ბავშვის ამ ოჯახისთვის გადაცემა მოსავლელად და აღსაზრდელად".[43]

მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ მინდობით აღზრდა როგორც შვილად აყვანისგან, ასევე მეურვეობა და მზრუნველობისგან. მინდობით აღზრდისთვის მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს ხელშეკრულება, რომელიც შესაძლოა დროებითი იყოს ბავშვის სრულწლოვანებამდე, და არა სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც სხვა შემთხვევებში გვჭირდება. მინდობით აღზრდის დროს ხელშეკრულების საფუძველზე ხდება მიმღები ოჯახისთვის გაწეული სამსახურის ანაზღაურება. შვილად აყვანის დროს თუ ბავშვი და მშვილებელი იძენენ ისეთ სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს, როგორც ნამდვილი ოჯახი, მაგალითად მემკვიდრეობითი და საალიმენტო ურთიერთობები, მინდობით აღზრდის დროს მსგავსი ფაქტები გამორიცხულია.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონი[44] განსაზღვრავს იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახებს შორის ურთიერთობისას. ადგენს გარკვეულ წესებს, გარანტიებსა და პროცედურებს. მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული საქმიანობის მოწესრიგება ევალებათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფოს სახელით უზრუნველყოფენ მიმღებ ოჯახებთან ხელშეკრულებების გაფორმებას და გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ საკითხებს უზრუნველყოფენ კომპეტენტური სოციალური მუშაკები, რომლებიც სერტიფიცირებულნი არიან და სოციალურ მუშაკთა ერთიან რეესტრში ირიცხებიან. ხელშეკრულების დადებისას აუცილებელია ოჯახში ბავშვის მიღებაზე თანხმობა თითოეულმა სრულწლოვანმა წევრმა განაცხადოს, მხოლოდ ამის შემდეგ დაიდება ხელშეკრულება დედობილთან და მამობილთან. ამის შემდეგ მათ ენიჭებათ გარკვეული უფლება-მოვალეობები, როგორებიცაა : ბავშვზე ზრუნვა ინდივიდუალური გეგმის მიხედვით; ბავშვისთვის ნორმალური ოჯახური პირობების შემქნა და ა.შ. ასეთ ურთიერთობაში ბავშვის მნიშვნელოვან უფლებად ითვლება ის, რომ ნებისმიერი მასთან დაკავშირებული საკითხი უნდა გადაწყდეს მისი აზრის გათვალისწინებით. მინდობით აღზრდის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს როგორც მხარეთა ინიციატივით, მაგალითად, ავადმყოფობისა ან მატერიალური სიდუხჭირის გამო. ასევე შეიძლება შეწყდეს კანონის საფუძველზეც, მაგალითად, თუ ბავშვი ბიოლოგიურ მშობლებს დაუბრუნდა ან შვილად აიყვანეს ან სრულწლოვნების ასაკს მიაღწია.

---

[43] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)", გამომცემლობა „მერიდიანი", თბ. 2019, გვ.296

[44] საქართველოს კანონი „ შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ", საქართველოს პარლამენტი, 2017 წლის 04 მაისი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მეტად აქტუალური გახდა მინდობით აღზრდა, გარკვეული პრობლემების წინაშე ამ შემთხვევაშიც დგას სახელმწიფო, რაც გამოიხატება მიმღები ოჯახების არასაკმარისი რაოდენობით, რაც სავარაუდოდ, არადამაკმაყოფილებელი ანაზღაურების მიზეზით არის გამოწვეული.

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ ოჯახის შექმნასა და ბავშვის აღზრდის საკითხებზე დიდ როლს თამშობდა ეკლესიაც, რომელის აზრსაც დღემდე აქტიურად ითვალისწინებს საზოგადოების დიდი ნაწილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II ყოველ წლიურად სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეში საუბრობს იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლის წინაშეც დგას საზოგადოება და სახელმწიფო. თუ დავუკვირდებით აქტიურად ამახვილებს ყურადღებას ოჯახის ინსტიტუტზე და ბავშვთა საკითხებზე, რომელიც დღევანდელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ერთ-ერთ სააღდგომო ეპისტოლეში აღნიშნავს, რომ „ეკონომიკურმა გაჭირვებამ დედაც და მამაც აიძულა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე სახლის გარეთ დაჰყონ, მაგრამ შვილებზე მზრუნველობა უმთავრესია და აქ, როგორც ქალის, ისე მამაკაცის, პასუხისმგებლობა თანაბარია. აქვე შევეხები ქუჩის ბავშვების პრობლემას. ისინიც ხვალინდელი დღის შემოქმედნი იქნებიან და, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან. უკვე 21 წელია ამ მიმართულებით იღწვის ჩვენი ეკლესია; სათანადო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლება ამ თემაზე კარგახანია სერიოზულად მუშაობს. ჩვენ მზად ვართ მომავალშიც შესაძლებლობისამებრ, გვერდში დავუდგეთ მათ. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პატარები ქუჩაში არ უნდა ცხობრობდნენ და ამას მალე უნდა მივაღწიოთ.“[45] მისივე თქმით გამოიყო სახელობო-პროფესიული სასწავლებლები, სადაც მზრუნველობა მოკლებულ ბაშვებს 23 წლამდე შეეძლებათ ცხოვრება.

საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „მინდობით აღზრდა - ბავშვის უფლება აღიზარდოს ოჯახში და საზოგადოებაში“. აღნიშნულ პროექტს არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ საქართველოს საპატრიარქოსა და ჯანდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით. სახელმწიფო საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით ცდილობს ასეთი სასარგებლო პროექტებით მინდობით აღზრდის პოპულარიზაციის ხელშეწყობას, ცნობიერების

[45] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2016 წელი, სააღდგომო ეპისტოლე, http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2016.htm-უკანასკნელად გადამოწმებული იქნა-19.06.2021

ამაღლებასა და მზრუნველობა მოკლებული ბავშვების ალტერნატიულ ოჯახურ პირობებში აღზრდას.

4.3 შვილად აყვანის სამართლებრივი საფუძვლები

შვილად აყვანა თავიდანვე ითვლებოდა სამაგალითო მოვლენად იმ პირებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ ბიოლოგიური შვილები ან არ შეეძლოთ ყოლა გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე. შვილად აყვანის საკითხი დღემდე აქტუალურია და შეიძლება ითქვას სენსიტიურიც. მიუხედავად შვილად აყვანის სურვილისა, შესაძლოა წავაწყდეთ სირთულეებსაც პრაქტიკაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შვილება დაიშვება მხოლოდ არასრულსწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებითვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთვე ურთიერთობა, როგორც მშობელსა და შვილს შორის არსებობს. ფაქტობრივად ეს არის პროცესი, როდესაც ზრდასრულ ადამიანებს შეუძლიათ აიყვანონ ბავშვი სრულყოფილი ოჯახის შექმნის მოტივით.[46]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შვილად აყვანის უფლება შესაძლოა მიეცეს ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან პირს, მხოლოდ იმ პირების გარდა, რომელთაც მშობლის უფლება აქვთ ჩამორთმეული ან ადრე ყავდათ ნაშვილები, მაგრამ უფლება-მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო გაუუქმდათ შვილება.

ზოგადად შვილად აყვანის ინსტიტუტის მთავარი მიზანია ისეთი არასრულწლოვანებისთვის აღზრდისა და ნორმალური პირობების შექმნა, რომელთა მშობლებს არ გააჩნიათ აღზრდისა და რჩენისთვის ნორმალური პირობები, ან დაობლდნენ. შვილად აყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესებია გათვალისწინებული და მშვილებელსა და ნაშვილებს შორის საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა ჩამოყალიბდება. სისხლით ნათესაური კავშირის მსგავსად ნაშვილებ ბავშვსაც იგივენაირად აქვს უფლება ოჯახში სრულფასოვანი აღზრდის, ნორმალური რჩენის პირობების, მშობლიური ზრუნვისა და სიყვარულის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონი არამარტო არასრულწლოვნების, არამედ სრულსლოვანთა შვილად აყვანასაც უშვებს. ეს იმ გამონაკლის შემთხვევებში ხდება, როდესაც

[46] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1239.

მშვილებლისა და შვილად ასაყვანის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და ზნეობრივად გამართლებულია. შვილად აყვანის ფაქტი შესაძლებელია სასამართლომ დაადასტუროს, თუ საოჯახო ურთიერთობა ფაქტობრივად არსებობდა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის და თუ ეს ურთიერთობა ორივე მხარის ინტერესებს ითვალისწინებს. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლითაც შვილად აყვანის ფაქტი დასტურდება, ესენია : 1. აღმზრდელის ოჯახში არასრულწლოვანი ბავშვის შვილად მიღება, რაც დასტურდება ოჯახის წევრებისა და სხვა ნათესავების მიერ; 2. მშვილებლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა. განცხადება შეიძლება ეხებოდეს როგორც ოჯახში შვილად მიღებულ ბავშვს, ასევე სხვასაც.[47]

შვილად აყვანის საკითხს მნიშვნელოვნად აკონტროლებს სახელმწიფო, ვინაიდან მისი მთავარი მიზანია ნაშვილებსა და მშვილებელის ინტერესების დაცვა. შვილება არ ნიშნავს მხოლოდ მშვილებელის ნების გამოვლენას და უბრალოდ ფაქტობრივ ზრუნვას ბავშვზე, არამედ ასეთი ურთიერთობა აუცილებლად ოფიციალურად უნდა გაფორმდეს, რაც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. განცხადება შვილად აყვანისთვის უნდა შეიტანონ აუცილებლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში, რასაც თან უნდა დაერთოს მშვილებელის ოჯახური და სამუშაო მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ასევე ავტობიოგრაფია და სამსახურეობრივი დახასიათებაც. სასამარლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე აუცილებელია მეურვეობის და მზურნველობის ორგანომ შეისწავლოს დაწვრილებით მშვილებელის ყოფითი მდგომარეობა, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ. შვილად აყვანაზე სასამართლოს უარი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციებში.
ხოლო სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში შვილად აყვანა უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, ფაქტობრივად, ეს არის საფუძველი მისი ნამდვილობის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბავშვის შვილება შეუძლიათ მეუღლეებს ერთად, მაგრამ ქორწინებაში მყოფმა პირმა რომ ცალკე იშვილოს ბავშვი არ შეიძლება. ასევე მეუღლეების გარდა ბავშვი ორ პირმა რომ იშვილოს დაუშვებელია, მაგალითად, ორმა დამ ან ბავშვის ბებია-ბაბუამ. ყოველივე ეს გულისხმობს იმას, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს ნორმალურ ოჯახურ პირობებში და მის აღზრდაზე უნდა ზრუნავდეს ორივე მშობელი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად პირი დაოჯახებული უნდა იყოს რომ ბავშვი იშვილოს, არსებობს გამონაკლისები, როდესაც ბავშვი

[47] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.254

შვილად აუყვანია მხოლოდ ერთ პირს, რა თქმა უნდა, კანონის მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსს პირს ანიჭებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ისეთ შემთხვევებში, თუ მშობლები გარდაეცვალა ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა სასამართლომ, ან თუ მიტოვებულად არის აღიარებული ბავშვი. ამ ორგანომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები აღირიცხება ერთიან სისტემაში.

საქართველოს კანონმდებლობას მშვილებელის ასაკიც გათვალისწინებული აქვს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის ასაკობრივი ზღვარი უნდა იყოს მინიმუმ 16 წლით და მაქსიმუმ 49 წელი.[48]

სხვა ქვეყნების კანონმდებლობას, რომ შევადაროთ, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1743-ე მუხლის მიხედვით მშვილებელი უნდა იყოს 25 წლის ასაკს მიღწეული, ხოლო დაუქორწინებელი პირი 21 წლის ასაკს. თუ ერთობლივად აყავთ შვილად ასეთ შემთხვევაში ერთი მეუღლე უნდა იყოს მიღწეული 25 წლის ასაკს, ხოლო მეორე - 21 წლის ასაკს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს მშვილებელის მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს და არც იმას თუ მინიმუმ რამდენი წლის მანძილზე უნდა იყვნენ ქორწინებაში წყვილები, რომ შვილად აყვანის უფლება მიეცეთ. მიმაჩნია, რომ ეს უკანასკნელი საჭიროა კანონმდებლობაში გაიწეროს, ვინაიდან ბავშვის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი აღზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს გავუსვამთ ამით ხაზს.

რაც შეეხება ლიტვის სამოქალაქო კოდექსის, 3.210 და 3.211 მუხლების თანახმად მშვილებლები არ უნდა აღემატებოდნენ 50 წლის ასაკს, ხოლო მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის ასაკობრივი ზღვარი მინიმალური 18 წელი უნდა იყოს. ბავშვის აყვანის მსურველები აუცილებლად კანონიერად უნდა იყვნენ დაქორწინებულნი და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია მარტოხელა ადამიანს შვილად აყვანა. მიმაჩნია, რომ ამგვარი მიდგომით გათვალისწინებულია სწორედ ის ფაქტი, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს განსაკუთრებულ ატმოსფეროში, სადაც აღზრდის პროცესში მონაწილეობას მიიღებს არა ერთი პირი, არამედ ორივე მხარე, დედაც და მამაც. განსხვავებული მიდგომაა ლიტვის სამოქალაქო კოდექსში ის, რომ თუ ერთ-ერთ მეუღლეს აყავს თავისი მეუღლის შვილი ასეთ შემთხვევაში ასაკობრივი ზღვარი შესაძლოა 15 წლამდეც შემცირდეს.

თურქეთის კანონმდებლობაც ადგენს მშვილებლის მინიმალურ ასაკს, მარტოხელა ადამიანისთვის 30 წლის ასაკობრივი ზღვარია დადგენილი, ხოლო თუ წყვილს ერთობლივად

[48] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1250.

უნდათ აყვანა შვილის, ასეთ შემთხვევაში ასაკობრივი სხვაობა 40 წელს არ უნდა აღემატებოდეს და ქორწინებაში უნდა იყვნენ მინიმალური 5 წელი მაინც.

ესპანეთს შედარებით განსხვავებული მიდგომები აქვს, ვინაიდან მშვილებლის მაქსიმალურ ასაკს არ განსაზღვრავს, სამაგიეროდ მინიმალური ასაკობრივი ზღვარი აქვს დადენილი რომელიც 25 წელია.

ავსტრიის კანონმდებლობას გამორჩეული მიდგომები აქვს ამ კუთხით, ვინაიდან მშვილებელი მამის ასაკს 30 წელს ადგენს, ხოლოდ დედის - 28 წელს. ხოლო შვილად აყვანის პროცესში კანონმდებლობა უპირატესობას ქორწინებაში მყოფ პირებს ანიჭებს.[49] ამგვარ მიდგომას ცალსახად ვემხრობი, ვინაიდან ბავშვისთვის მეტად სასარგებლოა როდესაც დედაც და მამაც მონაწილეობს მისი აღზრდის პროცესში.

შვილად აყვანის შესახებ როდესაც ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ასაკობრივ ზღვარს არ ექცევა ყურადღება, მნიშვნელოვანია ასევე ის უფლება-მოვალეობანი, რაც ბავშვის აღზრდის პროცესში გააჩნიათ მშვილებლებს. პირველ რიგში, თუ ბავშვს მშობლები ჰყავს, რომელთაც არ აქვთ ჩამორთმეული მშობლის სტატუსი ან უბრალოდ შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობანი, ასეთ დროს მათ თანხმობა უნდა გამოხატონ წერილობით. მას შემდეგ რაც მშობლების გადაწყვეტილება დადასტურდება, მშობელს უფლება-მოვალეობები შეუჩერდება და ბავშვები გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. სასამართლო ასეთ დროს გადაწყვეტილებას გამოიტანს შვილად აყვანის შესახებ და თან ბავშვის მშობლებისთვის მშობლის უფლება-მოვალების ჩამორთმევის შესახებ. ზოგადად, მშობელი ბავშვის გაშვილებაზე თანხმობას მაშინ იძლევა, როდესაც დარწმუნებულია, რომ ბავშვი უკეთეს აღსაზღდელ პირობებში იქნება და ცუდი არაფერი ემუქრება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვის გაშვილებისას მის სურვილს ათი წლის ასაკამდე არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. კანონი მხოლოდ მაშინ კრძალავს კატეგორიულად შვილად აყვანას თუ ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ამის წინააღმდეგია. ასეთ დროს შეგვიძლია ვთქვათ, ის რომ უთანასწორო მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ ბავშვები, რომლებიც ათი წლის ასაკს მიღწეულნი არ არიან, მაგრამ წინააღმდეგი არიან გაშვილების. მიმაჩნია, რომ თუკი ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ვსაუბრობთ, ეს ასაკობრივი ზღვარი უნდა შემცირდეს და 5 წლიდან უნდა

[49] ქ. კუხიანიძე, „შვილად აყვანასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის შესახებ“,ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი, 2015 წელი, https://ejournals.atsu.ge/BLSS2015/eJournal/Papers/KukhianidzeKetevan.pdf - უკანასნკელად გადამოწმებული იქნა-19.06.2021.

იქნეს ბავშვის აზრი გათვალისწინებული, ვინაიდან ამ ასაკიდან შედარებით უკეთესად შეუძლია საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების განსაზღვრა ბავშვს.

ვინაიდან შვილად აყვანისას მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ურთიერთობა უტოლდება სისხლით ნათესაობას, შესაძლებელია მშვილებლის თხოვნით ნაშვილებისათვის სახელის, გვარის და ზოგადად დაბადების მოწმობის შეცვლაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, მიუხედავად იმისა, ნაშვილებს შეუცვლიან თუ არა ძველ გვარს, იგი მაინც ყველა შემთხვევაში იძენს პირად და ქონებრივ უფლება - მოვალეობებს როგორც მშვილებლის, ასევე მისი ნათესავების მიმართ, თავის მხრივ მშვილებლებს ნაშვილების მიმართაც წარმოეშვებათ უფლება - მოვალეობანი აღზრდის პროცესში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კანონი შვილად აყვანის შესახებ მაქსიმალურ მნიშვნელობას ანიჭებენ კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას, ვინაიდან მშვილებლის სურვილს ითვალისწინებენ, რომ არავინ გაიგოს, თვით ბავშვმაც, რომ ნაშვილებია. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანო გასცემს ისეთ დოკუმენტებს, რომლის მიხედვით შეუძლებელია ბავშვის შვილად აყვანის შესახებ ინფორმაციის დადგენა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ სრულად შეიძლება მოისპოს შვილად აყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტები. რეგისტრაცის წიგნში მაინც კეთდება ისეთი ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს შვილად აყვანის ფაქტს, ნაშვილების ნამდვილი დაბადების ადგილი და თარიღი, სასამართლოს დასახელება, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა. ამ ე.წ „საიდუმლოს შენახვის“ გარანტიებიც შეიმუშავა კანონმდებლობამ და შეგნებულად საიდუმლოს გამჟღავნების ფაქტი სისხლისსამართლებრივ დარღვევას წარმოადგენს. [50]

სასამართლოს ლეგიტიმურ უფლებამოსილებებში შედის შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებაც, რაც შემდგომში, რა თქმა უნდა, შვილად აყვანის ბათილობას იწვევს. გარდა სასამართლოს გადაწყვეტილებისა, შვილად აყვანის ბათილობის სხვა საფუძვლებს კანონმდებლობაც ითვალისწინებს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შვილად აყვანა შეიძლება ბათილად ვცნოთ, თუ გადაწყვეტილება ყალბ დოკუმენტებზე დაყრდნობით იქნა მიღებული, ან მშვილებელს ჩამორთმეული და შეზღუდული ჰქონდა მშობლის უფლება. ასევე იმ შემთხვევაში, თუ მშობლისა და კანონიერი მეურვეს თანხმობის გარეშე გაშვილდა ბავშვი.[51] აქედან გამომდინარე, სასამართლოს დაწვრილებით უწევს ყველა დეტალზე ყურადღების გამახვილება,

[50] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.281

[51] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1272.

ვინაიდან საკითხი ეხება შემდგომში ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მისი აღზრდის საკითხებს. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტს, რამდენად უნდა აუნაზღაურდეს ყოფილ მშვილებელს გაწეული ხარჯები. შესაბამისად, ბავშვის აღზრდისთვის თავისი სურვილით გაწეული ხარჯები იძულებით არ ანაზღაუდრება.

ვინაიდან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს დიდი როლი უკავიათ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების ცხოვრებაში და მათ უფლება-მოვალეობების დაცვაში, შესაბამისად კანონმდებლობა მიიჩნევს, რომ ვინაიდან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მშობლებსა და ნათესავებზე უპირატესად დგანან, შესაბამისად მათ აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა სასამართლო პროცესებში. მიმაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებს, ვინაიდან გადაწყვეტილება მიღებული იყოს გარემოებების ობიექტური შეფასებით.

თითქმის ყველა სახელმწიფოსთვის რომ უპირატესია ბავშვი ოჯახურ გარემოში იზრდებოდეს, ამაზე ყველა ჯერდება. აქედან გამომდინარე, შვილად აყვანის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუდმივი ოჯახით უზრუნველყოფა და არასრულწლოვანებისთვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა. სახელმწიფომ უზრუნველყო კანონმდებლობის საშუალებით შვილად აყვანით სარგებლობა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, რომ ყველა შესაძლო ღონისძიება გაატაროს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო გაშვილება ხდება ჰააგის კონვენციის „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“[52] მიხედვით. სწორედ, ეს კონვენცია იცავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს აღნიშნულ სფეროში და წარმოადგენს შეთანხმებას სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო გაშვილების პროცედურებზე. საქართველოს შემთხვევაში საერთაშორისო გაშვილების საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“. კანონი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო გაშვილება შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში შეუძლებელია.

გაეროს „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ მიხედვით, ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება მიჩნეული უნდა იყოს როგორც მისი მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვის

[52] ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – 1993 წლის 29 მაისი.

მშობლიურ ქვეყანაში მისი მოვლის რაიმე სახით უზრუნველყოფა შეუძლებელია. აღნიშნული კონვენცია განსაზღვრავს შვილად აყვანის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.[53]

საერთაშორისო გაშვილების დროს, საერთაშორისო გაშვილების განმახორციელებელი ორგანო, ე.წ ცენტრალური ორგანო ვალდებულია სპეციალური ხელშეკრულებით მშვილებელი ქვეყნიდან გამოითხოვოს ინფორმაცია ყოველ წლიურად გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ მანამ, სანამ სრულწლოვანი გახდება. ეს მიდგომა მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო გაშვილების შემდეგაც ამოწმებს გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რაც აუცილებელია მისი სრულფასოვანი აღზრდისთვის. ჰააგის კონვენციის „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შესავალშივე გვიწერია, რომ აუცილებელია ისეთი გარანტიების შექმნა, რომელიც საერთაშორისო გაშვილებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ადამიანის ძირითადი უფლებებს გაითვალისწინებს. მონაწილე სახელმწიფოებს შორის უნდა იყოს თანამშრომლობის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა მოტაცებასთან და ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებს. კონვენცია იმ შემთხვევაში იძლევა გაშვილების უფლებას, თუ სახელმწიფო დაადგენს ამის ყველა შესაძლებლობას, როგორიცაა მაგალითად: მშვილებელ პირებს აქვთ თუ არა უფლება-მოსილება შვილად აყვანის, აგრეთვე უფლება აქვს თუ არა ბავშვს მშვილებელ სახელმწიფოში ცხოვრების უფლება.

ვინაიდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება ხდება ზრუნვისა და მისი სრულფასოვანი აღზრდისთვის, შესაბამისად მშვილებელი მშობლები იგივე უფლება-მოვალეობებს იძენენ ბავშვის აღზდისას, როგორიც ბიოლოგიურ მშობლებს გააჩნდათ.

გაშვილების საკითხებს სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ამას ისიც ამტკიცებს, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო აწარმოებს რეესტრს სადაც აღირიცხებიან გასაშვილებელი ბავშვები. აღრიცხვიდან 8 თვის განმავლობაში თუ ვერ გაშვილდა საქართველოში ბავშვი, მხოლოდ ამის შემდეგ დგება საკითხი საერთაშორისო გაშვილებაზე.[54]

---

[53] ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული 1989 წელი 20 ნოემბერი, მუხლი 21.

[54] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.294

თავი V. მშობლებისა და შვილების ქონებრივი უფლება - მოვალეობები

5.1. მშობლების საალიმენტო ვალდებულება შვილების მიმართ

მას შემდეგ რაც საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ბავშვის მიმართ ერთობლივ ზრუნვაზე დგება საუბარი, არანაკლებ მნიშვნელოვანია საალიმენტო ვალდებულებებიც. მშობლების უფლება - მოვალეობანი შვილის აღზრდისა და რჩენისას განისაზღვრება კანონით გარკვეული ვადითა და პირობებით. აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან და წყდება მისი სრულწლოვანების მიღწევისას. „საალიმენტო ვალდებულების შესრულება უმეტესად ეკისრება იმ მშობელს, რომელიც განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო ცალკე ცხოვრობს და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მეორე მშობელთან მცხოვრები შვილის მატერიალურ უზრუნველყოფაში“.[55]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხაზგასმით გვეუბნება, რომ „ მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები რომლებიც დახმარებას საჭიროებენ“.[56] გარდა ამისა, ბავშვის უფლებების კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გამოაცხადა, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, და ბუნებრივი გარემოცვა ყველა მისი წევრისა და განსაკთრებით ბავშვების აღზრდისა და კეთლდღეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო დაცვითა და ხელშეწყობით, რათა შეეძლოთ მთლიანად იკისრონ ვალდებულებანი საზოგადოების ფარგლებში“.[57] აქედან გამომდინარე, ბავშვს სრულფასოვანი აღზრდისთვის სჭირდება მხარდაჭერა, როგორც მორალური, ასევე მატერიალური, რაც სამართლებრივად დაცული უნდა იყოს. რა თქმა უნდა, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ვსაუბრობთ, ეს უკანასკნელი არ გულისხმობს იმას, რომ მშობლების უფლებები

[55] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.252

[56] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1212.

[57] ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული 1989 წელი 20 ნოემბერი.

უგულვებელყოფილი იყოს, არამედ სახელმწიფო მშობლების, როგორც ადამიანის უფლებებს პატივს უნდა სცემდეს და ასევე უზრუნველყოფდეს ბავშვის უფლებების დაცვასაც.

ადრე კანონმდებლობა განსაზღვრავდა ალიმენტის ოდენობას, რომელიც დამოკიდებული იყო ხელფასის ოდენობაზე. დღეს კი ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. ასეთ დროს უმთავრესია შვილის ნორმალური რჩენისა და აღზრდისთვის აუცილებელი პირობები იქნეს დაკმაყოფილებული, რა თქმა უნდა, მშობლების რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითისთის, „სასამართლოს შეუძლია ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები ოდენობით დააკისროს ალიმენტის გადახდა იმ მშობელს, რომელსაც ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილ გარემოებაში, ვიდრე ის შვილი, ვის სასარგებლოდაც უნდა დაეკისროს მას ალიმენტი“. [58] გარდა ასეთი შემთხვევისა, სასამართლოს ასევე შეუძლია გაათავისუფლოს მშობელი ალიმენტისგან ან შეუმციროს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა მუდმივი არ არის, შეიძლება მისი შეცვლა სასამართლოს გადაწყვეტილებით. „ადრე დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირება ან გაზრდა შესაძლებელია მშობლის შესაბამისი სარჩელის საფუძველზე. სარჩელის შეტანა შეუძლიათ აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებსაც (ალიმენტის გადამხდელი მშობლის ახალი მეუღლე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და სხვა) ასევე ალიმენტის გაზრდა შეძლება მოითხოვოს მეორე მშობელმა ან მასთან მცხოვრებმა შვილმა, ნათესავმა და სხვა“.[59]

სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ბევრია შემთხვევა, როდესაც მშობელი თავს არიდებს საკუთარი მოვალეობების შესრულებას და ბავშვზე ზრუნვას. ბოლო დროს მშობლები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ ალიმენტისთვის თავის არიდებას. უმუშევრად თვლიან თუ შემოსავლების სამსახურში არ ფიქსირდება შემოსავალი, ბოლო დროს კი საკმაოდ ბევრია ისეთი სამსახური, რომელიც არ ფიქსირდება შემოსავლების სამსახურში, ან სხვას აფორმებენ და ამით მალავენ ხელფასს, ვითომ უმუშევრობით არ უხდიან ბავშვს ალიმენტს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეგვიძლია გარკვეული საქნციების დაკისრება, მაგალითად , როდესაც მშობლები ჯიუტად არიდებენ თავს ალიმენტის გადახდას სამუშაო ადგილის ან

[58] ავტორთა კრებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეხუთე; გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2000; გვ:199

[59] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.262

საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და შემოსავლების დაფარვის გზით, მათ მიმართ გამოიყენება ჯარიმა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ვადით ას ოცდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაო ერთ წლამდე.[60] მაინც მიმაჩნია, რომ ასეთ დროს კარგი იქნებოდა თუ მშობელთა ამ კატეგორიას ვაიძულებდით შრომას, რათა გადაეხადათ ალიმენტი. მრავალი ორგანიზაციაა, რომელსაც სჭირდება მუშახელი, სადაც შეიძლება მათი დასაქმება და იძულება, რათა უზრუნველყონ ალიმენტით თავიანთი შვილები. სანქციების დაკისრების გარეშე მორალური ვალდებულებაა შვილის უზრუნველყოფა და ვინაიდან მშობელი ვერ იაზრებს შვილის აღზრდის პროცესში ვალდებულებებს, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ ყველა უკიდურესი საშუალება, რათა არ დაირღვეს ბავშვის უფლებები. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მსჯელობს იმ საკითხზე, რომ ასეთ შემთხვევებში მშობლის უფლებები უნდა ჩამოერთვათ, მაგრამ მათთვის ეს შეღავათი უფრო იქნება, ვინაიდან ისედაც არ ასრულებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს და შესაბამისად ამ ნაბიჯით უფრო გათავისუფლდებიან.

პრაქტიკაში მრავალი ფაქტი ყოფილა, როდესაც ალიმენტი მაინც დაუკისრებიათ მშობლისთვის, მიუხედავად მისი უმუშევრობისა. ერთ-ერთი ასეთი საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაა, საქმეზე N ას-58-49-2011[61] სასამართლომ არ მიიჩნია სამართლიანად უმუშევრობა და ალიმენტის შემცირება არ დააკმაყოფილა, შესაბამისად მშობელს დააკისრა გადახდის მოვალეობა, იმ რაოდენობით რაც უზრუნველყოფდა ბავშვის საარსებო მინიმუმს.

ბავშვების ალიმენტით უზრუნველყოფა და მისი აღსრულება საერთაშორისოდ არის აღიარებული. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა საქართველოში მშობელთა შეთანხმებით ხდება. ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ალიმენტის განსაზღვრულს ოდენობას სთავაზობს მხარეებს ან თავად სასამართლო აწესებს. მაგალითისთვის, გერმანიაში და ავსტრიაში სასამართლო არაკანონიერად მიიჩნევს მშობლებს შორის შეთანხმებულად დაწესებულ ალიმენტის ოდენობის შემცირებას. პირიქით, თუ ფაქტობრივი მდგომარეობით სხვა საკითხებს მიიჩნევს უპირატესად შესაძლოა უფრო გაზარდოს ოდენობა. სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად განსაზღვრავენ ალიმენტის ოდენობას. ალიმენტის გამოთვლის ძირითადად ორ სახეს გამოყოფენ : 1. მშობლების შემოსავლების მიხედვით; 2. ბავშვისთვის განკუთვნილი ხარჯების კომბინაციით. ასევე გათვალისწინებულია ბავშვების რაოდენობა ოჯახში და მათი ასაკი. „ავსტრიისა და გერმანიის სასამართლოები მკაცრად

[60] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1999 წელი, მუხლი 176
[61] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება Nას-58-49-2011, 2011 წელი 27 ივნისი

იცავენ ოფიციალურ გზამკვლევს „გაიდლაინებს“, რომელიც დაუქორწინებელ მშობლებს კანონით განსაზღვრულ მინიმუმს უწესებს შვილის რჩენისთვის. გერმანიის სასამართლო იყენებს ე.წ „დუსელდორფის ცხრილს“, რაც ითვალისწინებს მშობლის შემოსავლის დონეს და ბავშვის ასაკობრივ ჯგუფს“.[62] ე.წ გარანტირებული ალიმენტი თითქმის ევროპის ყველა ქვეყანაშია მიღებული. სახელმწიფო ამით უზრუნველყოფს ალიმენტს, თუ შობელს არ შეუძლია ან თავს არიდებს პასუხისმგებლობას, ამით ბავშვის უფლებები ცალსახად არ უნდა შეილახოს.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ალიმენტის დაკისრება სოციალურად დაუცველი პირის მიმართ. მაგალითად, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით[63] გადახდევინება არ შეიძლება იმ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის ქონებიდან რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია. ასეთ დროს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ვდგებით გარკვეული პრობლემების წინაშე. კვლევის შედეგად, მივიჩნევ, რომ მსგავს შემთხვევაში სახელმწიფომ ბავშვსაც უნდა მიანიჭოს სოციალურად დაუცველის სტატუსი და ალიმენტი ჩანაცვლდეს ამგვარი ფულადი დახმარებით.

5.2 ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულება

თუ მშობლებს არ შეუძლიათ ან არ სურთ განახორციელონ შვილების აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები, ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები პაპა (ბაბუა) და ბებიას ავალებენ მშობლების მეურვეობასა და მზრუნველობას მოკლებული შვილიშვილების აღზრდის ფუნქციას. კანონმდებლობა საოჯახო ურთიერთობათა რეგულირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახში ყველა წევრის ურთიერთპატივისცემის გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას.[64] რაც შეეხება ბავშვის მიმართს ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებებს, როგორც ახლო ნათესავებს საალიმენტო

[62] სალომე საჯაიას სტატია „საალიმენტო ვალდებულება“ , სამართლის ელექტრონული ჟურნალი; თემა: საოჯახო სამართალი; (WWW.IURISTI.GE), თბ. 2019; ჟურნალი N1; გვ: 13

[63] საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“,საქართველოს პარლამენტი,1999 წელი, მუხლი 45 „ზ“.

[64] ავტორთა კრებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეხუთე; გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2000; გვ:180

სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება წარმოიშვას შვილიშვილების მიმართ პაპა-ბებიისგან, როგორც მამის მხრიდან, ასევე-დედის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს. როდესაც ფაქტორბივი გარემოებების გათვალისწინებით შვილიშვილს არ შეუძლია მიიღოს ალიმენტი მშობლისგან, მაგრამ პაპა-ბებიას გააჩნია საკმაო სახსრები, ასეთ დროს მათ დაეკისრებათ ალიმენტის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თუ სარჩელი წარდგენილია მამის მშობლების მიმართ, ასეთ დროს მათ აქვთ უფლება მოითხოვონ ვალდებულებაში ჩაერთოს ბავშვის დედის მხრიდან პაპა-ბებია. თუმცაღა პრაქტიკაში მსგავსი მოთხოვნით სარჩელები ძალიან იშვიათია. გარდა ამისა, სუბსიდიალურ საალიმენტო ვალდებულებებიდან გამომდინარე კანონი და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობასაც აღნიშნავს, ბავშვები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას ვერ იღებენ მშობელბისგან, შეუძლიათ შემოსავლების მქონდე და-ძმისგან მიიღონ. ეს ვალდებულება განსხვავდება მამინაცვლისა და დედინაცვლის მოვალეობისაგან.

„სუბსიდიალური საალიმენტო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როცა მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთობას სისხლით ნათესაობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ - აღზრდაში ან რჩენაში მონაწილეობის ფაქტი“.[65] საალიმენტო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, თუ გერი მამინაცვლის ან დედინაცვლის ოჯახში იზრდება ან თუ მას მშობლებისგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა არ გააჩნია. ბავშვის აღზრდასა და რჩენაში მნიშვნელოვანია მამინაცლის და დედინაცვლის მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, ადრე მშობლები ღებულობდნენ თუ არა მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც ალიმენტის გადამხდელის, ასევე მისი მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა. „ეს დებულება მთელი საალიმენტო - სამართლებრივი ურთიერთობის ამოსავალი პრინციპია და მისი შინაარის იმაში მდგომარეობს, რომ ალიმენტის გადახდა მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს ალიმენტის გადამხდელსა და მისი ოჯახის სხვა წევრებს. არც აღზრდასა და რჩენას მოკლებული პირები უნდა დარჩნენ მატერიალური დახმარების გარეშე“.[66] სწორედ აქედან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს თითოეულის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და ამის შემდეგ განსაზღროს მათი მოვალეობა ალიმენტის გადახდის პროცესში.

---

[65] ავტორთა კრებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეხუთე; გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2000; გვ:220

[66] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.277-278

5.3 ალიმენტის გადახდის წესი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ალიმენტის დაკისრებისა და მისი გადახდევინების სავალდებულო წესს. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, პირი ვალდებულია დაკისრებული ალიმენტი იხადოს. „ალიმენტის გადახდა ხდება ნებაყოფლიბით ან იძულებითი წესით. იძულება გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძლევზე. ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდის ყველაზე გავრცელებული და ნორმალური ფორმაა მისი პირადი გადახდა. ამ დროს ალიმენტის გადამხდელი პირადად აძლევს ფულად სახსრებს ალიმენტის უშუალო მიმღებს ან საფოსტო გზავნილის სახით გადააგზავნის მის მისამართზე. შესაძლებელია აგრეთვე საალიმენტო თანხის ჩარიცხვა ალიმენტის მიმღების საბანკო ანგარიშზე.“[67] ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდისას, შესაძლებელია პირმა განცხადების საფუძველზე მიმართოს თავისი სამსახურის ადმინისტრაციას, რათა ხელფასიდან ან სხვა შემოსავლებიდან დაექვითოს ალიმენტისთვის განსაზღვრული ოდენობა ადრესატისთვის გადასაცემად. თავის მხრივ, ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია ასევე აცნობოს ალიმენტის მიმღებს სამუშაო ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და ამ მიზეზით გამოწვეული დავალიანების შემთხვევაში სრულად გადაიხადოს.

ზოგადად ალიმენტის ძირითადი დანიშნულება არის ის, რომ ბავშვის ნორმალური აღზრდისთვის მისი მატერიალური უზრუნველყოფა მოხდეს. აქედან გამომდინარე, სასამართლო გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას, რომელიც სავალდებულოა გადაიხადოს პირმა, რომელსაც ეკისრება. კანონი ალიმენტის მიმღებს აძლევს უფლებას, რომ ნებისმიერ დროს ალიმენტის გადახდის თაობაზე სარჩელით მიმართოს სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა პირი ნებაყოფლობით იხდიდეს ალიმენტს, თუნდაც დიდი ოდენობით და მეორე მხარეს არავითარი მიზეზი ჰქონდეს იმისა, რომ სასამართლოს სარჩელით მიმართოს, ეს უფლება მაინც რჩება. პრაქტიკაში ძირითადად მას გამოიყენებენ იმისთვის, რომ მომავალში მეტად დაზღვეულები იყვნენ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის მიღების თაობაზე.

---

[67] რ. შენგელია, ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019, გვ.211

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დამსაქმებელი ორგანიზაციის ადმინისტრაცია პირს უკავებს ალიმენტის ოდენობის თანხას მისი განცხადების საფუძველზე და არამარტო განცხადების, არამედ იმ შემთხვევაშიც თუ მიღებული აქვს სააღსრულებო ფურცელი.[68] ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ხელს უწყობს, როგორც ნებაყოფლობით ალიმენტის გადახდის აღსრულებას, ასევე იძულებითი წესით გადახდასაც. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით დამსაქმებელი ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ალიმენტის გადამხდელს ხელფასიდან დაუკავოს ალიმენტის ოდენობის თანხა ყოველთვიურად და გაუგზავნოს დოკუმენტში მითითებულ პირს. იმ შემთხვევაში თუ საალიმენტო ვალდებულება შეწყდება, სააღსრულებო ფურცელი უნდა გადაეგზავნოს სასამართლოს, ხოლო ალიმენტის გადამხდელი პირის განცხადება რჩება შესაბამის დამსაქმებელ ორგანიზაციაში, თუმცა კარგავს ადრინდელ უფლებრივ ძალას.

სამწუხაროდ პრაქტიკაში მრავალია ისეთი ფაქტი, როდესაც ალიმენტის მისაღებად იყო გარკვეული ზომები მიღებული, თუმცა ვალდებული პირი თავს არიდებს პასუხისმგებლობას. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოში წარდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ შემდეგ გადაისინჯა ეს გადაწყვეტილება და შეიცვალა. უარის მიღებიდან სარჩელის დაკმაყოფილებამდე პერიოდი მნიშვნელოვანია სწორად იქნეს განხილული, თუ თავდაპირველად რატომ იქნა უარყოფილი სარჩელი და რამდენად შეიძლება ეს პერიოდი დავალიანებად მივიჩნიოთ. საალიმენტო დავალიანების გადახდა აუცილებლად სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ხდება, რომელიც მითითებულია სასამართლოს გადაწვეტილების მიხედვით შედგენილ სააღსრულებო ფურცელზე. საალიმენტო დავალიანების გადახდა უნდა მოხდეს გასული სამი წლის ფარგლებში და თუ ვადაზე უფრო მეტი პერიოდია გასული გადახდევინება შეიძლება სააღსრულებო ფურცლით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თანხის დაკავება ვერ ხერხდებოდა ალიმენტის გადამხდელი პირის ძებნის გამო, რამაც შექმნა არსებული ვითარება.

სამოქალაქო კოდექსი ალიმენტის დავალიანების განსაზღვრის ორ წესს ადგენს იმის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილია დოკუმენტები ვალდებული პირის ხელფასის ან სხვა შემოსავლის შესახებ, დავალიანების წარმოქმნის მთელი პერიოდისთვის. შესაბამისად, დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში საალიმენტო დავალიანება განისაზღვრება ვალდებული პირის მიერ იმ პერიოდში მიღებული ფაქტობრივი ხელფასიდან ან სხვა შემოსავლებიდან, რომლის განმავლობაშიც არ მომხდარა გადახდევინება. თუ შემოსავალი შეიცვალა იმის გამო, რომ ვალდებული პირი სამუშაოდ სხვა ორგანიზაციაში გადავიდა და დაბალხელფასიან

[68] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1233

თანამდებობაზე დაინიშნა, აუცილებელია, განისაზღვროს გასამრჯელოს ოდენობა მისი მომატება - შემცირებამდე და ამის შემდეგ, საბოლოოდ უნდა დადგინდეს ის ოდენობა, რომელიც ვალდებულმა პირმა მიიღო იმ პერიოდში, როცა მას ალიმენტის გადახდა ევალებოდა.[69]

მოგეხსენებათ, ალიმენტის გადამხდელი პირის საალიმენტო ვალდებულებისგან გათავისუფლება ან ალიმენტის ოდენობის შემცირება ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად. აგრეთვე საალიმენტო დავალიანების საფუძვლიანობის გადასინჯვაც სასამართლოს კომპეტენციაში შედის. ალიმენტის გადახდისგან გათავისუფლება ან მისი ოდენობის შეცვლა ხდება მოპასუხის, ანუ საალიმენტო ვალდებულების მქონე პირის სარჩელის საფუძველზე. სასამართლო დადებით გადაწყვეტილებას გამოიტანს იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამისთვის არსებობს ყველანაირად საპატიო მიზეზი, მაგალითად, საალიმენტო ვალდებულების მქონე პირის მატერიალური და ოჯახური პირობების გაუარესება.

კვლევა ჩავატარე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი საალიმენტო კატეგორიის საქმეა გადაცემული აღსრულებაზე და როგორია შედეგები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროდან 2021 წლის 31 მაისის N31797 წერილით მეცნობა (იხ. დანართი1), რომ სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ 2018 წლის მანძილზე შესულია ალიმენტის კატეგორიის 837 საქმე, 2019 წელს - 851, ხოლო 2020 წელს 523 საქმე. 2021 წლის აპრილის ბოლოს წარმოებაში არსებული 8798 ალიმენტის კატეგორიის სააღსრულებო წარმოებიდან დარეგულირებულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 3899 ერთეული, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ წარმოებაშია, რაც ცალსახად მიგვითითებს უპასუხისმგებლო მშობელთა მაღალ რიცხვზე და ბავშვთა გარკვეული უფლებების დარღვევაზე. ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს მშობლების უფლება-მოვალეობების გააზრებისა და ცნობიერების ამაღლების საკითხები, სამწუხაროდ, მრავალი მშობელია, რომელიც თავს არიდებს პასუხისმგებლობებს, რაც შემდგომში ბავშვის აღზრდაზეც ძალიან აისახება.

[69] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი, მუხლი 1236.

თავი VI. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზით მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ.

შემდეგი თავი ეხება მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობათა განვითარების ეტაპებს. განვიხილეთ თუ საიდან მომდინარეობს შვილებისა და მშობლების ურთიერთობის განვითარების საფუძვლები და რომელი ეროვნული თუ საერთაშორისო დოკუმენტებია ამ ურთიერთობათა გარანტი. ვისაუბრე ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, C-413/99, *Baumbast and R v. Secretary of State for the Home Department*, 2002 წლის 17 სექტემბერის გადაწვეტილებაზე, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რაც გამოიხატება მათთვის განათლების ხელმისაწვდომობაში.

მომდევნო თავში საუბარია მშობლების უფლება - მოვალეობების შინაარსის საკითხებზე, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეზღუდვისა და შეჩერების საფუძველს. გარდა ამისა, მეუღლეებს რა უფლება მოვალეობები გააჩნიათ ბავშვის აღზრდის პროცესში როგორც თანაცხოვრებისას, ასევე ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. აღნიშნულ თავში სასამართლო პრაქტიკას განვიხილავ, რომლის საფუძველზეც გარკვეულ ანალიზს ვახდენ. განხილული იქნა საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის შემდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელებიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. ასევე განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ცალკეული მიდგომები შეიძლება ხარვეზად იქნას მიჩნეული.

მომდევნო თავში განვიხილე ოჯახური აღზრდის ალტერნატიული საშუალებები, სადაც გამოვიყენე, როგორც ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა, ასევე საერთაშორისოც. კვლევის დროს ერთ-ერთი ასეთი საინტერესო გადაწყვეტილება იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს *R.M.S. v. Spain*, No. 28775/12, 2013 წლის 18 ივნისის, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სოციალური-ეკონომიკური პრობლემების წინაშე მყოფი მშობლებისა და შვილების მიმართ. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა დაიცვას თავისი ქვეყნის

მოქალაქეები, უნდა უზრუნველყოს სოციალური პროგრამებით მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ან ფულადი სახსრებით დახმარება. ასევე კვლევის დროს გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, რომლის წინაშეც დგანან სოციალური ობლები. არასრულწლოვნები, რომლებსაც ქუჩაში ცხოვრება უწევთ სხვადასცვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე. კვლევისას კარგი ორიენტირი აღმოჩნდა გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიში „ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში“. ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი განქორწინების რაოდენობა, რაც შემდგომში ცალსახად აისახება ბავშვთა აღზრდასა და განვითარებაზე.

შემდეგი თავი ეთმობა საალიმენტო ვალდებულებებს, მის სახეებს და გადახდის წესს. კვლევა ვაწარმოვე აღსრულების ეროვნული ბიუროს დახმარებით, საიდანაც გამოვითხოვე ალიმენტთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროდან 2021 წლის 31 მაისის N31797 წერილით მეცნობა სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ 2018 წლიდან 2021 წლამდე ალიმენტის კატეგორიის სააღსრულებო წარმოების საქმეების რაოდენობა და დარეგულირებულ საქმეთა რაოდენობა, რომლის დახმარებითაც გარკვეული შეფასების გაკეთება შესაძლებელი.

როგორც მოცემულ თავებში ვნახეთ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აქტიურად ცდილობს ბავშვთა აღზრდასა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მაინც არის ხარვეზები, რომლებიც გარკვეულ მომენტებში შეიძლება დიდ პრობლემადაც მივიჩნიოთ. ვინაიდან, საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი პრაქტიკაში ახალი ამოქმედებულია, შესაბამისად გარკვეული მიდგომები ჩამოსაყალიბებელი და გასათვალისწინებელია. აღნიშნულმა კოდექსმა, მრავალი ცვლილება გამოიწვია კანონმდებლობაში, შესაბამისად ამ საკითხების დარეგულირებას გარკვეული გონივრული პერიოდი სჭირდება, გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაც გარკვეული ეტაპების გავლასა და დროს ითხოვს.

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა ბავშვის უფლებათა კოდექსი მიღებით დიდი ნაბიჯი გადადგა, ვინაიდან აღნიშნული კოდექსი მოცემულ პრობლემებს პასუხობს და სამართლებრივ პრაქტიკაში მალე საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. აღნიშნული კოდექსის შემუშავება გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. ბავშვის უფლებათა კოდექსის მთავარი პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პრაქტიკაში მაინც მეტწილად ვაწყდებით გარკვეულ ხარვეზებს.

თითქმის ყველა თანხმდება იმ ფაქტზე, რომ ოჯახი არის პირველი სოციალური სამყარო, სადაც ბავშვი არსებობასა და განვითარებას იწყებს, შესაბამისად დიდი როლი აქვს ოჯახში აღზრდის წესებს, მშობლების დამოკიდებულებას შვილის მიმართ. საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი და საკმაოდ პრობლემური საკითხია შვილის აღზრდის საკითხები. მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ შვილები, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე. სამწუხაროდ მშობლები ვერ იაზრებენ იმ უფლება-მოვალეობას, რომელიც შვილის აღზრდის პროცესში ევალებათ. სამწუხაროდ, განქორწინების დროს მხოლოდ ძირითადი ეკონომიკური მდგომარეობის გაყოფა ხდება, ფინანსური სახსრების გადანაწილება, ხოლო შვილის აღზრდისთვის საჭირო რესურსებზე, დროსა და პასუხისმგებლობებზე თითქმის არავინ საუბრობს. მოგეხსენებათ, რომ განქორწინების შედეგად, ხშირ შემთხვევაში, ბავშვები მეტად ზარალდებიან.

პრაქტიკიდან გამოიკვეთა ისეთი საკითხებიც, როდესაც სასამართლომ უპირატესობა საკუთრების უფლებას მიანიჭა, ხოლო ბავშვის უფლებები უგულებელყო. არანაირი მიზეზი არ არსებობდა იმისა, რომ ბავშვი დედასთან დაეშორებინათ, არც სხვა ალტერნატიულ საკითხებზე იყო საუბარი, შესაბამისად ბავშვიც და დედაც ბინიდან გამოსახლებას ელოდებიან. მსგავსი ფაქტები პრაქტიკაში ძალიან ბევრია, როდესაც საცხოვრებლის განსაზღვრისას ბავშვის ინტერესები ილახება. პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ ერთ-ერთი მშობელი ცალსახად თავს არიდებს თავის უფლება-მოვალეობებს ბავშვის აღზრდის პროცესში. როდესაც კანონმდებლობა აკეთებს

მითითებას, რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს ჰარმონიულ გარემოში, სადაც ყველანაირი რესურსი იქნება გამოყენებული მისი პიროვნული ჩამოყალიბებისთვის, მაშინ მსგავსი სამართლებრივი პრაქტიკის ხარვეზები მაქსიმალურად უნდა გამოსწორდეს. თეორიულად მარტივად ჟღერს, რომ ბავშვისთვის უმჯობესია, როდესაც მშობლები თანამშრომლობენ მის აღზრდაში, მაგრამ ყველა მშობელს არ შეუძლიათ ერთობლივად ზრუნვა. ასეთ დროს პრაქტიკებს თუ გადავხედავთ შეგვიძლია სკეპტიკურად განვეწყოთ, ვინაიდან უპირველესად ყოველთვის დგინდება თუ რომელ მშობელს უნდა მიენიჭოს უპირატესი უფლება შვილის აღზრდაში, შესაბამისად ერთობლივად ზრუნვის მომენტები ნაკლებად განიხილება ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ვსაუბრობთ პრაქტიკაში მაინც გარკვეული საკითხები პრობლემურად რჩება.

არასრულწლოვნების აღზრდა, მათზე ზრუნვა და მინიმალური ყოფითი პირობების შექმნა, სახელმწიფოს მთავარ ფუნქციას, რომ წარმოადგენს ამაზე ყველა ჯერდება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ცდილობს ოჯახურ გარემოს მოკლებულ ბავშვებს დიდი ყურადღება დაუთმოს და ალტერნატიული აღზრდის ფორმები განავითაროს, მაინც ხშირად ვდგებით გარკვეული პრობლემების წინაშე, მაგალითად ერთ-ერთი მათგანია სოციალური ობლობა. სოციალური ობლობა გამოწვეულია მშობლების მიერ უფლება-მოვალეობების თავიდან არიდებით და შვილების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობით. სოციალური ობლობის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან პრაქტიკაში შესაძლოა მრავალ ხარვეზს წავაწყდეთ და სამართლებრივად ყველა საკითხი ვერ მოვაგვაროთ. მაგალითად, ძალიან ხშირად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების სოციალური მუშაკები დედას აშორებენ შვილს მხოლოდ იმის გამო, რომ მატერიალურად უჭირთ და არ აქვთ ბავშვის აღზრდისთვის საჭირო რესურსები. ერთი მხრივ, მათი მოტივაციაა ბავშვის კეთილდღეობა და, მეორე მხრივ, ვერ იაზრებენ, რომ დედისგან მოშორებით ბავშვი მეტად დაითრგუნება და მის სულიერ მდგომარეობას მიაყენებენ ზიანს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი შვილებისა და დედების კეთილდღეობა. კარგი იქნება თუ მოეწყობა პატარა საოჯახო ტიპის სახლები მზრუნველობასმოკლებული პირებისთვის, სადაც ბავშვები იცხოვრებენ ბიოლოგიურ მშობელთან ერთად, შესაბამისად, სახელმწიფო უფრო მეტად მიაღწევს შედეგს და მზრუნველობამოკლებული ბავშვების რიცხვიც იკლებს. სწორედ ამ საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს *R.M.S. v. Spain*, No. 28775/12, 2013 წლის 18 ივნისის საქმე, რომელიც ნაშრომში მაქვს განხილული. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური ობლების რიგებში შედიან ე.წ ფარული ობლებიც, სადაც იგულისხმებიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც ოფიციალურად ჰყავთ მშობლები, ერთი შეხედვით არ აკლიათ მზრუნველობა, მაგრამ არ აღიზრდებიან სრულფასოვნად, ვინაიდან მათთან მცხოვრები

უფროსებისგან იღებენ გულგრილობას და უყურადღებობას. ეს კიდევ მეტად რთული შემთხვევაა და ამიტომაც ასეთი მშობლების მიმართ შესაძლებელია გარკვეული სანქციების და სასჯელის დანიშვნა. რთულია აგრეთვე საქართველოში ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვების საკითხი. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, პირველ რიგში, ნაკლებად მკაცრი წესების შემუშავება სკოლა-პანსიონებში, ბავშვთა სახლებსა და მინდობით აღმზრდელ ოჯახებში. სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური მხარდაჭერა მშობლების მიმართ, დაეხმაროს მათ სამსახურის მოძიებაში და პრიორიტეტი მიანიჭოს უსახლკარო ოჯახების დასაქმებას, რათა შეძლონ მათ პასუხისმგებლობების აღება და შვილის აღზრდისას მინიმალური ყოფის დაკმაყოფილება.

ნაშრომზე მუშაობისას კიდევ ერთი პრობლემა გამოიკვეთა, რომელიც საალიმენტო ვალდებულებებს ეხება. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ბევრია შემთხვევა, როდესაც მშობელი თავს არიდებს საკუთარი მოვალეობების შესრულებას და ბავშვზე ზრუნვას. ბოლო დროს მშობლები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ ალიმენტისთვის თავის არიდებას. ასეთ დროს კარგი იქნებოდა თუ მშობელთა ამ კატეგორიას ვაიძულებდით შრომას, რათა გადაეხადათ ალიმენტი. მრავალი ორგანიზაციაა, რომელსაც სჭირდება მუშახელი, სადაც შეიძლება მათი დასაქმება და იძულება, რათა უზრუნველყონ ალიმენტით თავიანთი შვილები. სანქციების დაკისრების გარეშე მორალური ვალდებულებაა შვილის უზრუნველყოფა და ვინაიდან მშობელი ვერ იაზრებს შვილის აღზრდის პროცესში ვალდებულებებს, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ ყველა უკიდურესი საშუალება, რათა არ დაირღვეს ბავშვის უფლებები. ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ალიმენტის დაკისრება სოციალურად დაუცველი პირის მიმართ. მაგალითად, გადახდევინება არ შეიძლება იმ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის ქონებიდან რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია. ასეთ დროს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ვდგებით გარკვეული პრობლემების წინაშე. კვლევის შედეგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მსგავს შემთხვევაში სახელმწიფომ ბავშვსაც უნდა მიანიჭოს სოციალურად დაუცველის სტატუსი და ალიმენტი ჩანაცვლდეს ამგვარი ფულადი დახმარებით.

ჩატარებულმა კვლევამ წარმოადგინა ნათელი სურათი უპასუხისმგებლო მშობელთა მაღალ რიცხვზე და ბავშვთა გარკვეული უფლებების დარღვევაზე. ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს მშობლების უფლება-მოვალეობების გააზრებისა და ცნობიერების ამაღლების საკითხები, სამწუხაროდ, მრავალი მშობელია, რომელიც თავს არიდებს პასუხისმგებლობებს, რაც შემდგომში ბავშვის აღზრდაზეც ძალიან აისახება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროდან 2021 წლის 31 მაისის N31797 წერილით მეცნობა (იხ.

დანართი1), რომ სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ 2018 წლის მანძილზე შესულია ალიმენტის კატეგორიის 837 საქმე, 2019 წელს - 851, ხოლო 2020 წელს 523 საქმე. 2021 წლის აპრილის ბოლოს წარმოებაში არსებული 8798 ალიმენტის კატეგორიის სააღსრულებო წარმოებიდან დარეგულირებულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 3899 ერთეული, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, ნახევარზე მეტი კი ჯერ კიდევ წარმოებაშია.

სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან როგორც ეკონომიკურად, ასევე სამართლებრივად მეტი დახმარება ესაჭიროებათ მშობლებს შვილების აღზრდის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. რ. შენგელია, ე.შენგელია - „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2019
2. ვ. მეტრეველი - „რომის სამართალი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2009
3. გ. ნადარეიშვილი - „ქართული სახელმწიფო და სამართლის ისტორია“,თბილისი,2009
4. ს. ჯორბენაძე - „საბჭოთა საოჯახო სამართალი“, „სახ. უნივერსიტეტი“, თბ. 1957
5. შ. ჩიკვაშვილი - „საოჯახო სამართალი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2004, გვ: 107
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი.
7. საქართველოს კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 1999 წელი.
8. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე, 2016 წელი.
9. გაეროს ბავშვთა ფონდი, „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში“, თბილისი, 2018
10. საქართველოს კანონი „ შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2017 წელი.
11. ქ. კუხიანიძე, „შვილად აყვანასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის შესახებ“,ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი, 2015 წელი
12. ავტორთა კრებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეხუთე; გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2000 წელი.
13. სალომე საჯაიას სტატია „საალიმენტო ვალდებულება“ , სამართლის ელექტრონული ჟურნალი; თემა: საოჯახო სამართალი; თბ. 2019;

სასამართლო პრაქტიკა:

14. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, C-413/99, *Baumbast and R v. Secretary of State for the Home Department*, 2002 წლის 17 სექტემბერი
15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Sahin v. Germany* [დიდი პალატა], No. 30943/96, 2003 წლის 8 ივლისი

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეა კოლეგია, გადაწყვეტილება N2/158-19, 2019 წელი 19 მარტი.
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *R.M.S. v. Spain*, No. 28775/12, 2013 წლის 18 ივნისი.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება Nას-58-49-2011, 2011 წელი 27 ივნისი

ნორმატიული აქტები:

19. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 1995 წელი.
20. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წელი.
21. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 1999 წელი.
22. ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული 1989 წელი.
23. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ „პეკინური წესებ“, 1985 წელი.
24. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2015 წელი.
25. საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2019 წელი
26. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 1999 წელი.
27. ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და ქვეყანათაშორისი შვილად აყვანის დარგში თანამშრომლობის შესახებ“ – დადებული 1993 წლის 29 მაისს, ძალაში შესული 1995 წლის 1 მაისს.
28. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 01 მარტი.
29. ჰააგის კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანაშრომლობის შესახებ“ - 1996 წელი.
30. ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, 1993 წელი.

ვებ. გვერდები:

31. www.supremecourt.ge
32. www.matsne.gov.ge
33. WWW.IURISTI.GE
34. www.echr.coe.int
35. http://coe.int/children